პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 180 (10877) | ხუთშაბათი, 1 აგვისტო, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

ერთიანი კომუნიკე

მისი უდიდებულესობა მუჰამედ ზაჰირ შაჰი — ავღანეთის მეფე მისი მაღალადმატებულების კ. ე. ვოროშილოვის — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოწვევით 1957 წლის 17 ივლისს (1336 წლის 25 სარატანს) კეთილი ნების ვიზიტით ეწვია სსრ კავშირს.

მოგზაურობაში მის უდიდებულესობას ავღანეთის მეფეს ახლდა ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მეორე მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მისი სამეფო უმაღლესობა სარდარ მუჰამედ ნაიმი, რომელიც ადრე იყო მოწვეული საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მიერ.

ამ მეგობრული მოგზაურობის დროს მისი უდიდებულესობა ავღანეთის მეფე მოსკოვში შეხვდა და საუბარი ჰქონდა მის მაღალადმატებულებასთან კ. ე. ვოროშილოვთან და საბჭოთა კავშირის მთავრობის სხვა ხელმძღვანელებთან.

საუბრები მიმდინარეობდა მეგობრობისა და გულწრფელობის ატმოსფეროში, რაც გამომდინარეობდა საბჭოთა კავშირსა და ავღანეთს შორის არსებული მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობიდან.

მისმა მაღალადმატებულებამ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ და მისმა უდიდებულესობამ ავღანეთის მეფემ აზრები გაუზიარეს ერთმანეთს და აზრი გამოთქვეს ორივე ქვეყნისათვის საინტერესო საკითხებზე.

მისმა მაღალადმატებულებამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ და მისმა უდიდებულესობამ ავღანეთის მეფემ გამოიჩინეს ორივე ქვეყნის პოლიტიკის ურთიერთგაგება, დაადასტურეს თავიანთ მთავრობათა მისწრაფება თავიანთი ქვეყნების განვითარებისა და აყვავებისადმი, აგრეთვე მაღალი შეფასება მისცეს ორივე ქვეყნის ხალხების ურთიერთ სურვილს ხელი შეუწყონ მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებას მთელ მსოფლიოში.

მისმა უდიდებულესობამ ავღანეთის მეფემ განმარტა ავღანეთის ნეიტრალური პოლიტიკა, რომლის წყაროა ავღანეთის მშვიდობისმოყვარეობა და განვითარებისადმი მისწრაფება.

მხარეებმა გამოთქვეს სრული თანხმობა, რომ მთელ მსოფლიოში მშვიდობის საფუძველია მეგობრობის განმტკიცება მსოფლიოს ყველა ხალხსა და ერს შორის.

მისმა მაღალადმატებულებამ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ და მისმა უდიდებულესობამ ავღანეთის მეფემ დაადასტურეს, რომ საჭიროა შემდგომი საერთაშორისო თანამშრომლობა და ურთიერთდახმარება მსოფლიოს ხალხებსა და ერებს შორის.

მათ ერთხელ კიდევ დაადასტურეს, რომ მსოფლიოს ხალხთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპებსა და სულისკვეთებას.

მათ სურვილი გამოთქვეს, რომ კაცობრიობამ მთელი თავისი მატერიალური და მორალური შესაძლებლობანი მოახმაროს იმ შეშფოთების ლიკვიდაციას, რომელიც მსოფლიოში არსებობს საერთაშორისო ურთიერთობაში დაძაბულობისა და მასობრივი მოსპობის იარაღის არსებობის გამო.

მათ განაცხადეს, რომ ისწრაფვიან გამოიყენონ მთელი მეცნიერული და ტექნიკური საშუალებანი მშვიდობიანი მიზნით, მსოფლიოს ხალხთა ცხოვრების უკეთესი მატერიალური და სულიერი, ბედნიერი პირობების უზრუნველყოფის მიზნით.

მიიღეს რა მხედველობაში დადებითი შედეგები მეგობრული, კეთილმეზობლური პოლიტიკისა, რომელიც მუდამ ხორციელდებოდა საბჭოთა კავშირსა და ავღანეთს შორის, მხარეებმა დაადასტურეს, რომ სურთ განაგრძონ მეგობრული ურთიერთობა და განაცხადეს, რომ ისწრაფვიან შემდგომ განავითარონ და განამტკიცონ ეს ურთიერთობა, რაც ხელს უწყობს მშვიდობას, უშიშროებას და საერთაშორისო თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების განვითარებას.

მისმა უდიდებულესობამ ავღანეთის მეფემ მიიწვია მისი მაღალადმატებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ესტუმროს ავღანეთს კეთილი ნების ვიზიტით.

ეს მეგობრული მიწვევა მიღებულ იქნა.

მისი აღმატებულება ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი, მიიწვია ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ახლდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ავღანეთში მოგზაურობის დროს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
კ. ე. ვოროშილოვი.

ავღანეთის მეფე
მუჰამედ ზაჰირ შაჰი.

მოსკოვი, 1957 წლის 30 ივლისი. (1336 წლის 7 ასადი).

საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობისათვის

1957 წლის ივლისში მოსკოვში მოხდა აზრთა გაზიარება ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილესა და საგარეო საქმეთა მინისტრს მის უმაღლესობას სარდარ მუჰამედ ნაიმსა და საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოს შორის ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე. აზრთა გაზიარების მსვლელობაში აღინიშნა ურთიერთ თანამშრომლობის დადებითი შედეგები და გადაწყდა შემდგომ განვითარდეს ეს თანამშრომლობა ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის.

ავღანეთის მეფის მთავრობის სურვილების დასაკმაყოფილებლად საბჭოთა მთავრობა დათანხმდა გაუწიოს ავღანეთს უანგარო და რაიმე პოლიტიკურ ან სხვა ამგვარ პირობებთან დაუკავშირებელი ტექნიკური და მატერიალური დახმარება გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა მოწყობაში ნავთობის საძიებლად ავღანეთის ჩრდილოეთ რაიონებში.

საბჭოთა მთავრობა დათანხმდა აგრეთვე გაუწიოს ავღანეთს დახმარება ავღანეთის ეკონომიური განვითარებისათვის საჭირო ეროვნული ტექნიკური კადრების მომზადებაში.

მოლაპარაკების მსვლელობაში პრინციპულად მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ სსრ კავშირისა და ავღანეთის მთავრობებს შორის დაიდოს ხელშეკრულება საბჭოთა კავშირ-ავღანეთის საჰელმწიფო საზღვრის რეჟიმის შესახებ. ამ მიზნით ინიშნებიან მხარეთა კომპეტენტური წარმომადგენლები, რომლებსაც დავალებული აქვთ უახლოეს დროში მოაწყონ კონკრეტული მოლაპარაკება ამ საკითხზე.

ორივე მხარე აგრეთვე შეთანხმდა, რომ ისინი ითანამშრომლებენ სსრ კავშირსა და ავღანეთს შორის სასაზღვრო სამდინარო წყლების გამოყენების მიზნით.

მოლაპარაკება ზემოხსენებულ საკითხებზე მიმდინარეობდა მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში და დამთავრდა მთელ რიგ საკითხებზე შესაბამის შეთანხმებათა ხელმოწერით.

კრემლში ხელი მოაწერეს ერთობლივ კომუნიკეს

30 ივლისს საღამოს კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს „ერთობლივ კომუნიკეს". საბჭოთა კავშირის მხრივ კომუნიკეს ხელი მოაწერა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ კ. ე. ვოროშილოვმა, ავღანეთის მხრივ — ავღანეთის მეფემ მუჰამედ ზაჰირ შაჰმა.

ხელმოწერას დაესწრნენ ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, გ. კ. ჟუკოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ნ. კოსიგინი, ვ. პ. მეავანაძე, მ. გ. პერვუხინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ნ. ს. პატოლიჩევი, ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის ელჩი ავღანეთში მ. ვ. დეგტიარი და სხვა პირები.

ავღანეთის მხრივ კომუნიკის ხელმოწერას დაესწრნენ პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი მუჰამედ ნაიმი, სამთო საქმისა და მრეწველობის მინისტრი მუჰამედ იუსუფი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი აბდულ ზაჰირი, უპორტფელო მინისტრი მირზა მუჰამედ იათტაგი, ავღანეთის ელჩი სსრ კავშირში აბდულ ჰაიმი და სხვა ავღანელი სტუმრები.

ხელმოწერას დაესწრნენ საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები. (საკდესი).

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს,
ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარეს

ამხანაგ მაო ძე-დუნს

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარეს

ამხანაგ ლიუ შაო-ცის

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერს

ამხანაგ ჯოუ ენ-ლაის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პეკინი

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება გვიბოძეთ მოგილოცოთ თქვენ და თქვენი სახით მოძმე ჩინელ ხალხს ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის 30 წლისთავი. 30 წლის განმავლობაში სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ განავლო რევოლუციური ომების ქარცეცხლი, დაამარცხა ჩინელი ხალხის მრავალრიცხოვანი მტრები და თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოუპოვა თავის ქვეყანას. ჩინეთის კომუნისტური პარტიის მუდმივი ზრუნვის მეოხებით აღზრდილთა რაზმებიდან სახალხო-განმათავისუფლებელი არმია გადაიქცა პირველხარისხოვან არმიად, რომლითაც კანონიერად ამაყობს მთელი ჩინელი ხალხი.

ამჟამად ჩინეთის ძლევამოსილი სახალხო-განმათავისუფლებელი არმია, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკით და შედგება ყველა თანამედროვე სახეობის ჯარებისაგან, მტკიცედ დგას ჩინეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ჩინელი ხალხის სოციალისტურ მონაპოვართა, შორეული აღმოსავლეთის მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე.

ვუსურვებთ ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ჯარისკაცებს, ოფიცრებსა და გენერლებს და მთელ დიდ ჩინელ ხალხს ახალ წარმატებებს სოციალისტური სამშობლოს მშენებლობასა და მშვიდობის დაცვაში.

მოსკოვი, კრემლი. 1957 წლის 31 ივლისი.

კ. ვოროშილოვი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ნ. ბულგანინი
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

ნ. ხრუშჩოვი
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრს
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მარშალს

ამხანაგ პინ დე-ხუაის

პეკინი

ძვირფასო ამხანაგო პინ დე-ხუაი!

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გმირი სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის 30 წლისთავის გამო საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების სახელით მებრძოლურ სალამსა და გულითად მოლოცვას გიძღვნით თქვენ და არმიისა და ფლოტის მთელ პირად შემადგენლობას.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის მიერ შექმნილმა და აღზრდილმა სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ სახელოვანი საბრძოლო გზა განვლო. ჩვენი არმიისა და ფლოტის მეომრები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდად აფასებენ მამაცობას, სახელოვნებასა და გმირობას, რაც ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელმა არმიამ გამოიჩინა თავისი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში.

ამ შესანიშნავ დღეს ჩვენ განსაკუთრებით მოხარული ვართ აღვნიშნოთ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის არმიების საბრძოლო მეგობრობა, რომელიც განუხრელად ვითარდება, მტკიცდება და საიმედოდ უზრუნველყოფს ჩვენი ხალხების მშვიდობასა და უშიშროებას.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობა სულით და გულით უსურვებს თანამებრძოლ ამხანაგებს — დიდი სახალხო ჩინეთის მეომრებს ახალ წარმატებებს თავიანთი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში.

გ. ჟუკოვი
სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი

მოსკოვი. 1957 წლის 31 ივლისი.

საბჭოთა კავშირსა და ავღანეთს შორის მეგობრობის მიტინგი

30 ივლისს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა მიტინგი, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა კავშირსა და ავღანეთს შორის მეგობრობას.

ავღანეთის წარმომადგენლებთან შესახვედრად მოვიდნენ ქარხნების, ფაბრიკებისა და ახალშენებთა მუშები, მეცნიერები, ინჟინრები, ტექნიკოსები. მიტინგის მონაწილეთა შორის არიან სსრ კავშირის მინისტრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, საბჭოთა კავშირის მარშლები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ლოჟებში არიან სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, ჟურნალისტები.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზი მორთულია ავღანეთისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით.

16 საათსა და 30 წუთზე პრეზიდიუმში გამოჩნდა ავღანეთის მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰი პრემიერ-მინისტრის მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრ მუჰამედ ნაიმსა და სხვა ავღანელ სახელმწიფო მოღვაწეებთან ერთად. ამავე დროს პრეზიდიუმში შემოდიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ე. ვოროშილოვი, ამხანაგები ა. ბ. არისტოვი, ნ. ი. ბელიაევი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ა. ბულგანინი, გ. კ. ჟუკოვი, ო. ვ. კუუსინენი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. ს. ხრუშჩოვი, პ. ა. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი.

დამსწრენი ფეხზე ამდგარნი გულითადად მიესალმებიან ავღანელი ხალხის წარმომადგენლებს და საბჭოთა ხელმძღვანელებს.

მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი მიტინგს გახსნილად აცხადებს. ორკესტრი ასრულებს ავღანეთის სამეფო ჰიმნს და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნს.

სიტყვა ეძლევა ქარხანა „დინამოს" საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეს ვ. პ. ბარსუკოვს. ქარხნის კოლექტივისა და მოსკოვის ყველა მშრომელის სახელით იგი მიესალმება ავღანეთის მეფეს მუჰამედ ზაჰირ შაჰს.

— მეგობრული კავშირი ჩვენს ქვეყნებს შორის, — ამბობს იგი, — განუწყვეტლივ იზრდება და მტკიცდება. ეს კავშირი თავს იჩენს სულ უფრო მზარდი ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობით, ურთიერთ მისწრაფებით მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობისადმი.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, მხურვალედ ვიწონებთ და ერთსულოვნად ვუჭერთ მხარს ჩვენი მთავრობის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას — სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას. ეს პოლიტიკა შეესაბამება ჩვენი ხალხის ძირეულ ინტერესებს.

ტრიბუნაზეა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ს. პ. ტოლსტოვი.

ჩვენ, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, — ამბობს იგი, — მრავალი წლის მანძილზე, დიდი ოქტომბრის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე ღრმა სიმპათიით ვადევნებდით თვალყურს შრომისმოყვარე და მამაცი ავღანელი ხალხის გმირულ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის და გვახარებდა მისი წარმატებანი ამ ბრძოლაში.

ავღანეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური სისტემის სახელმწიფოთა იმ მშვიდობიანი თანაარსებობის ათეულ წლობით შემოწმებული ნიმუშია, რომელიც ორი წლის წინათ გამოცხადდა აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციაზე ბანდუნგში და რომლის იდეა საფუძვლად უდევს ჩვენი მთავრობის საერთაშორისო პოლიტიკას.

შემდეგ ავღანელ სტუმრებს მოსკოვის ინტელიგენციის სახელით გულითადად მიესალმა რუსაკოვის სახელობის საავადმყოფოს მთავარი ექიმი ვ. ა. კრუჟკოვი.

მიტინგის დამსწრენი ტაშით შეხვდნენ ავღანეთის სახელმწიფოს მეთაურს.

— ძალიან ბედნიერი ვარ, — ამბობს მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰი, — რომ მომეცა შემთხვევა შეეხვედროდი ლამაზი და ისტორიული ქალაქის მოსკოვის წარმომადგენლებს და გამომეთქვა მადლობა მეგობრული მიღებისა და შეხვედრისათვის, რომელიც მოსკოვის მოსახლეობამ აღმომიჩინა. უწინარეს ყოვლისა მინდა გადავცე საბჭოთა ხალხს ავღანელი ხალხის მეგობრული და გულწრფელი სალამი.

გამოხატა რა თავისი პირადი მეგობრული გრძნობები, მუჰამედ ზაჰირ შაჰმა შემდეგ თქვა, რომ ორივე ქვეყანას შორის არსებული კეთილმეზობლური და კეთილი ურთიერთობა ნათელი სხივივით ანათებს ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ურთიერთობის ისტორიას. ეს ურთიერთობა მუდამ იყო მეგობრული და გულწრფელი და წარმადგენდა ხალხებისა და ერების კეთილი ურთიერთობის თვალსაჩინო მაგალითს.

ჩვენს ხალხებს შორის ურთიერთნდობისა და პატივისცემის წყაროა, განაგრძო ავღანეთის სახელმწიფოს მეთაურმა, კეთილი ნება და ეს ამ ურთიერთობის შინაარჩუნებისა და განგრძობის გადამწყვეტი ფაქტორია. ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ეს ურთიერთპატივისცემა ემყარება ჩვენი ხალხების გულწრფელ სურვილსა და მისწრაფებას, ხოლო ხალხის მისწრაფება ქვეყნის საგარეო პოლიტიკის საუკეთესო მეგზურია.

ამ მტკიცე პრინციპის მიხედვით შემიძლია განვაცხადო, რომ ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა ემყარება ყველაზე უკეთეს, მტკიცე საფუძველს.

ავღანელ ხალხს, თავისი ტრადიციისა და რწმენის მიხედვით, სურს მეგობრობა მსოფლიოს ყველა ხალხთან და ერთან და მიაჩნია, რომ მეგობრობა მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და მყუდროების შენარჩუნების, აგრეთვე კაცობრიობის ბედნიერების უზრუნველყოფის ერთადერთი საშუალებაა.

მოხარული ვარ, რომ საბჭოთა მიწა-წყალზე ხანმოკლე ყოფნის შედეგად შესაძლებლობა მაქვს მივულოცო ჩვენი მეზობელი, მეგობარი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის ხალხებს მოპოვებული დიდი წარმატებანი.

დასასრულ მუჰამედ ზაჰირ შაჰმა თქვა:

— ერთხელ კიდევ ვლოცულობ მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში, ყველა ხალხისა და ერის ბედნიერებისათვის და გულითად მადლობას ვუძღვნი საბჭოთა ხალხებს, აგრეთვე მოსკოვის მოსახლეობას. სიხარულს განვიცდი იმის გამო, რომ შესაძლებლობა მქონდა შევხვედროდი საბჭოთა კავშირის ხალხებსა და საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებს.

სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს კ. ე. ვოროშილოვს. მიტინგის მონაწილენი კ. ე. ვოროშილოვს ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობის, მიტინგზე დამსწრე მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლებისა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით კ. ე. ვოროშილოვი მიესალმება მეგობრული ავღანეთის მეთაურს, მის უდიდებულესობას მეფე მუჰამედ ზაჰირ შაჰს, აგრეთვე პრემიერ-მინისტრის მოადგილესა და საგარეო საქმეთა მინისტრს მის უმაღლესობას სარდარ მუჰამედ ნაიმს და მეფის სხვა პატივცემულ თანამგზავრებს, რომლებიც საბჭოთა კავშირში იმყოფებიან მეგობრობისა და კეთილი ნების ვიზიტით.

— დიდად პატივცემული ავღანელი სტუმრების ჩამოსვლა ჩვენთან, — ამბობს კ. ე. ვოროშილოვი, — დამაჯერებლად ადასტურებს სულ უფრო მზარდ მეგობრობას ჩვენს სახელმწიფოებს შორის. ჩემთვის განსაკუთრებით სასიამოვნოა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრობას საფუძველი ჩაუყარა დიდმა ლენინმა, რომელიც დაუცხრომლად იღაწვრებდა აღმოსავლეთის ხალხთა იმპერიალისტური დამონების წინააღმდეგ, მხარს უჭერდა მათს დამოუკიდებელ, თავისუფალ ეროვნულ განვითარებას, ყველა ერის სრულ თანასწორუფლებიანობას.

ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ, რომელსაც დიდი ლენინი მეთაურობდა, ავღანეთის სუვერენული სახელმწიფოს შექმნისთანავე ცნო მისი დამოუკიდებლობა და დაამყარა მასთან თანასწორუფლებიანი, ურთიერთ პატივისცემით აღსავსე, მეგობრული ურთიერთობა.

ეს ურთიერთობა განმტკიცდა საბჭოთა რუსეთის და ავღანეთის მეგობრობის 1921 წლის 28 თებერვლის ხელშეკრულებით, რომელიც პირველი თანასწორუფლებიანი ხელშეკრულება იყო ავღანეთის ისტორიაში.

შემდეგ კ. ე. ვოროშილოვი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მეგობრობამ შემდგომი განვითარება ჰპოვა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის 1931 წლის 24 ივნისის ხელშეკრულებით ნეიტრალიტეტისა და ურთიერთ თავდაუსხმელობის შესახებ. ამ ისტორიული ხელშეკრულების მოქმედების ვადა 1955 წელს განგრძობილ იქნა შემდეგი 10 წლით, როცა ავღანეთში იყვნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი. საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის ნამდვილად თანასწორუფლებიანი და მეგობრული ურთიერთობა უკვე დიდი ხანია გახდა შესანიშნავი მაგალითი აღმოსავლეთის ყველა ქვეყნისათვის, რომელთა უფლებებსა და თავისუფლებას ფეხქვეშ თელავდნენ იმპერიალისტი კოლონიზატორები.

ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 35 წლის წინათ შემდეგი სიტყვებით წინასწარმეტყველებდა კოლონიალიზმის სისტემის მარცხის გარდუვალობას: „ხოლო ხვალინდელი დღე მსოფლიო ისტორიაში იქნება სწორედ ისეთი დღე, როცა საბოლოოდ გამოიღვიძებენ იმპერიალიზმის მიერ ჩაგრული, გამოფხიზლებული ხალხები და როცა დაიწყება გადამწყვეტი ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა მათი განთავისუფლებისათვის". ეს დრო დადგა, და ჩვენ გავხდით აზიისა და აფრიკის ხალხთა განთავისუფლებისათვის ფართოდ გაჩაღებული გადამწყვეტი და ძლევამოსილი ბრძოლის ბედნიერი მოწმენი.

ახლა აღმოსავლეთის ქვეყნების უმრავლესობამ მოიშორა კოლონიალიზმის უღელი, მოიპოვა თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ამბ. კ. ე. ვოროშილოვი აღნიშნავს ბანდუნგის კონფერენციის უდიდეს როლს, რომელმაც აზიისა და აფრიკის ქვეყნების სახელმწიფოები შეამჟიდროვა თანასწორუფლებიანობის, თავისუფლების საფუძველზე, კოლონიური ჩაგვრის სრული ლიკვიდაციისა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლის საფუძველზე.

ამბ. კ. ე. ვოროშილოვმა თავის სიტყვაში საბჭოთა ადამიანების სახელით გამოთქვა რწმენა, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნებს ყველა შესაძლებლობა აქვთ გახდნენ და კიდევაც გახდებიან დიდად განვითარებული სახელმწიფოები.

შემდეგ ამბ. კ. ე. ვოროშილოვი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირსა და ავღანეთს შორის მეგობრული ურთიერთობა საფუძველი გახდა ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის განვითარებისათვის, იგი ლაპარაკობს საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრული ურთიერთობის შემდგომ განვითარებაზე მოსკოვში გამართული მოლაპარაკების შედეგად.

ილაპარაკა რა სსრ კავშირისა და ავღანეთის თანამშრომლობის საერთაშორისო მნიშვნელობაზე, ამბ. კ. ე. ვოროშილოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი და ავღანეთი მტკიცედ იცავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში, და რომ ორივე ქვეყანა იცავს აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციის პრინციპებს.

საბჭოთა კავშირსა და ავღანეთს სურთ მშვიდობა და მეგობრობა ხალხებს შორის. ჩვენი ქვეყნები მოითხოვენ განიარაღებას, ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენებისა და მისი გამოცდის აკრძალვას. საბჭოთა კავშირი და ავღანეთი ყველა ფორმის კოლონიალიზმის წინააღმდეგი არიან, ილაშქრებენ სამხედრო აგრესიული ბლოკების შექმნის წინააღმდეგ, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ხალხთა მშვიდობასა და უშიშროებას.

დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის თანამშრომლობა საერთაშორისო ასპარეზზე განვითარდება მშვიდობის, ბანდუნგის ისტორიული პრინციპების დაცვისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საბჭოთა მთავრობისა და სსრ კავშირის ხალხთა სახელით ამბ. კ. ე. ვოროშილოვი აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირის სახით ავღანეთს ჰყავს და ეყოლება უანგარო, ერთგული მეგობარი და კეთილი მეზობელი, რომელიც მზად არის მეგობრობისა და მშვიდობისათვის გაუზიაროს ავღანელ ხალხს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარების დარგში შეძენილი გამოცდილება.

დასასრულ დამსწრეთა ტაშის გრიალში ამბ. კ. ე. ვოროშილოვმა მშვიდობისმოყვარე ავღანელ ხალხს გადასცა საბჭოთა კავშირის ხალხების მხურვალე მეგობრული სალამი და უსურვა მას წარმატებანი მის წინსვლაში პროგრესისა და ავღანეთის ეროვნული დამოუკიდებლობის შემდგომი განმტკიცების გზაზე.

მიტინგი გადაიქცა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრობის მკაფიო მანიფესტაციად, მეგობრობისა, რომელიც წლითიწლობით მტკიცდება მშვიდობის საკეთილდღეოდ. (საკდესი).

ახალგაზრდობის ძალთა მობილიზაციისათვის

ბოლშევიკური პარტია, ემზადებოდა რა პროლეტარული რევოლუციისათვის, უდიდეს პროპაგანდისტულ და ორგანიზატორულ მუშაობას ეწეოდა ახალგაზრდობაში, რათა მისი შემოქმედებითი ძალები დაეჯაჭვა პარტიის გარშემო რევოლუციაში მხურვალე მონაწილეობისათვის. ამისათვის საჭირო იყო ახალგაზრდობის განთავისუფლება ესერებისა და მენშევიკების გავლენისაგან, რომლებიც ცდილობდნენ აეცდინათ ისინი რევოლუციური ბრძოლის გზიდან.

ახალგაზრდობაში ბოლშევიკების გავლენის გაძლიერებას ხელს უწყობდა მისი მძიმე მდგომარეობა. დროებითი მთავრობის დროს არათუ არ გაუმჯობესებულა მშრომელი ახალგაზრდობის მდგომარეობა, არამედ, პირიქით, დღითი-დღე უარესდებოდა. გრძელდებოდა სისხლისმღვრელი ომი, რასაც დიდი უბედურება, სიკვდილი, გაჩანაგება მოჰქონდა მოზარდი თაობისათვის. თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგაც მუშა ახალგაზრდობა დღეში 12–15 საათს მუშაობდა. ხელფასს კი ორჯერ ნაკლებს იღებდა, ვიდრე მოზრდილები. ყოველივე ამან აამოქმედა ახალგაზრდობა, გაზარდა მისი პოლიტიკური თვითშეგნება, ბრძოლის წყურვილი, გააძლიერა მისი მისწრაფება თავისუფლებისაკენ.

ბოლშევიკური პარტიის მიერ გაჩაღებული მუშაობის შედეგად ახალგაზრდობაში დღითიდღე იზრდებოდა რევოლუციური განწყობილება. იგი თავს აღწევდა ესერებისა და მენშევიკების გავლენას და გადაჭრით დგებოდა ბოლშევიკების მხარეზე. ახალგაზრდობა მტკიცედ მოითხოვდა გამანადგურებელი ომის შეწყვეტას, თავის შრომის პირობების გაუმჯობესებას, სამუშაო დღის შემცირებას, მოზარდთა საწარმოო სწავლების ორგანიზაციას, ახალგაზრდობის წარმომადგენლობას საბჭოებში და პროფკავშირებში.

ბოლშევიკური ლოზუნგებით აღფრთოვანებული ახალგაზრდობა მხურვალე მონაწილეობას იღებდა გაფიცებსა, გამოსვლებსა და დემონსტრაციებში. 1917 წლის პირველი მაისს დემონსტრაციაში პეტროგრადში თავიანთ რაიონებს ცალკე კოლონებად წინ მიუძღოდა ასი ათასი ახალგაზრდა მუშა და ქარხნის მოწაფე. ისინი ქუჩებში გამოვიდნენ ბოლშევიკური პარტიის ლოზუნგებით, რამაც ძლიერ შეაშფოთა დროებითი მთავრობა და მისი ერთგული მსახურები — მენშევიკები და ესერები. კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღო ახალგაზრდობამ ივლისის დემონსტრაციებში, რომლებშიც მან გვიჩვენა თავისი მზადყოფნა და დარაზმულობა ბოლშევიკური პარტიის გარშემო.

პარტიამ ახალგაზრდობაში სამუშაოდ გაგზავნა გამოჩენილი პარტიული ხელმძღვანელები, რათა დახმარებოდნენ მას მასობრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნაში. პარტიის პეტროგრადის კომიტეტმა ახალგაზრდობაში სამუშაოდ გაგზავნა ბოლშევიკების ჯგუფი ნ. კრუპსკაიას მეთაურობით. ეკატერინბურგში (ამჟამად სვერდლოვსკში) ახალგაზრდობის კავშირის შექმნის ინიციატორი იყო ი. მ. სვერდლოვი.

ივლისის დემონსტრაციისათვის მზადებამ დიდად შეიწყო ხელი ახალგაზრდობის კავშირების შექმნას. ნარვა-პეტერგოფის რაიონში აღმოცენდა ჩვენს ქვეყანაში პირველი სოციალისტური კავშირი მუშა ახალგაზრდობისა (მასკ). მისი ორგანიზატორი იყო პუტილოვის ქარხნის „ზარბაზნების სახელოსნოს შვილი“, 19 წლის ბოლშევიკი ვ. ვასილიევი. მუშა ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის წევრები დიდ დახმარებას უწევდნენ პარტიულ ორგანიზაციებს. ისინი ასრულებდნენ სხვადასხვა პასუხსაგებ დავალებებს: ეხმარებოდნენ კრებებისა და დემონსტრაციების მოწყობაში, ავრცელებდნენ ბოლშევიკურ ბროშურებსა და გაზეთებს, შოულობდნენ იარაღს წითელი გვარდიის ახლად შედგენილი რაზმებისათვის, აგიტაციას ეწეოდნენ მუშა ახალგაზრდობასა და ჯარისკაცთა შორის.

მალე გაფორმდა ახალგაზრდობის კავშირები მოსკოვში, კიევში, ხარკოვში, ოდესაში, დნეპროპეტროვსკში, როსტოვში, დონბასში და მთელ რიგ სხვა ქალაქებსა და მუშათა ცენტრებში.

მენშევიკები და ესერები შეაშფოთა ბოლშევიკური გავლენის ზრდამ ახალგაზრდობაზე. ისინი შეეცადნენ თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ პროლეტარული ახალგაზრდობის მოძრაობის ხელმძღვანელობა. „ახალგაზრდობის მეგობართა“ ნიღბით მათ პეტროგრადში შექმნეს კავშირი — „შრომა და სინათლე“. ამით ისინი ცდილობდნენ ჩაენერგათ ის აზრი, რომ ახალგაზრდობა რევოლუციური ბრძოლის გარეშე უნდა იდგეს და მხოლოდ და მხოლოდ კულტურულ მუშაობას ეწეოდეს. მაგრამ ამ კავშირით მათ ვერ შეძლეს ახალგაზრდობის გაბრიყვება. ამის შესახებ ნ. კრუპსკაია შემდეგს მოგვითხრობს:

„მე უშუალოდ დავუკავშირდი ახალგაზრდობის მუშაობას. ახალგაზრდობა, რომელიც შედიოდა კავშირში „სინათლე და ცოდნა“, იმუშავებდა თავის პროგრამას. ახალგაზრდებს შორის იყვნენ ბოლშევიკები, მენშევიკები, ანარქისტები, უპარტიოები. პროგრამა იყო უაღრესად მიამიტური და პრიმიტიული, მაგრამ მის გარშემო კამათი მეტად საინტერესო იყო... უნდა ითქვას, რომ „სინათლისა და ცოდნაში“ შაინც რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდები შედიოდნენ. ეს ახალგაზრდები თავიანთ წრეში ვერ შეურიგდებოდნენ ვერავის, ვინც მემარჯვენეთა შეხედულებებს გამოთქვამდა. ისინი აქტიურნი იყვნენ, გამოდიოდნენ თავიანთ ქარხნებში, თავიანთ კრებებზე, მაგრამ მეტად მიმნდობელნი იყვნენ. ამ მიმნდობელობასთან ყოველმხრივ გვიხდებოდა ბრძოლა“.

პარტიის VI კრებამ, რომელიც 8 აგვისტოს გაიხსნა, დიდი ყურადღება დაუთმო ახალგაზრდობაში რევოლუციური მოძრაობის გაძლიერების საკითხს. მან ამომწურავი მითითებები მისცა მუშა ახალგაზრდობის კავშირების საქმიანობასა და ხასიათს. „კრებამ, — ნათქვამია რეზოლუციაში, — აუცილებლად თვლის, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა ადგილებზე უაღრესად სერიოზული ყურადღება მიაქციონ ახალგაზრდობის ორგანიზაციის საქმეს“.

ბოლშევიკური პარტიის, დიდი ლენინის მიერ აღზრდილმა, გამოწრთობილმა და დარაზმულმა ახალგაზრდობამ უდიდესი როლი შეასრულა ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და გატარების საქმეში. ახალგაზრდობა ბრძოლებში ყოველთვის ცეცხლის წინა ხაზზე იყო და გმირობის არნახულ მაგალითებს გვიჩვენებდა.

თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხნის ელექტრომექანიკური საამქროს რაციონალიზატორი ოსტატი ი. ბზარაშვილი (მარჯვნივ) ხარატ ს. შუგარიანთან ერთად ამოწმებს ახლადდამუშავებულ დეტალს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

პირველ ადგილზე საბჭოთა კავშირში

თბილისში მიღებულია ცნობა, რომ სსრ კავშირის რკინიგზის მაგისტრალების კოლექტივთა შეჯიბრებაში მეორე კვარტალში მოპოვებული მაჩვენებლების მიხედვით პირველობა მიეკუთვნა ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალის კოლექტივს და მას გადაეცა რკინიგზელთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და გზათა სამინისტროს გარდამავალი წითელი დროშა.

ამიერკავკასიის მაგისტრალის რკინიგზელებმა მეორე კვარტალში ვაგონების ბრუნვა გეგმით გათვალისწინებულზე მეტად დაიჩქარეს 7,2 საათით, ორთქლმავლების საღღეღამისო გარბენი გაადიდეს 10 კილომეტრით, ხოლო ელექტრომავლებისა — 17 კილომეტრით.

სატვირთო მატარებელთა საერთო რიცხვიდან მეორე კვარტალში მატარებელთა 70 პროცენტი შედგენილი იყო მოწინავე მეთოდებით, რის შედეგადაც გაწეული იქნა 163.000 ვაგონ-საათის ეკონომია.

პროდუქცია აგვისტოს ანგარიშში

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისის შუშის ტარის ქარხნის კოლექტივი, რომელიც ჩაბმულია ბორჯომის შუშის ქარხნის, ბაქოსა და ტირასპოლის შუშის ტარის ქარხნების კოლექტივებთან შეჯიბრებაში, სასახელოდ ანაღდებს ნაკისრ ვალდებულებებს, 11 ივლისიდან პროდუქციას აგვისტოს ანგარიშში უშვებს. გეგმის გადამეტებით უკვე გამოშვებულია 3 მილიონ 140 ათასი შუშის ქილა; ამასთან გაწეულია ელექტროენერგიის, ნედლეულისა და მასალების მნიშვნელოვანი ეკონომია.

საუკეთესოდ მუშაობენ სამანქანო-საღუმელე, ჯაზმის შემდგენი და მექანიკური საამქროები.

მოსავლის აღების გადამწყვეტ დღეებში

ახლა საკოლმეურნეო სოფელში ბევრი საქმეა: გაჩაღებულია თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება, მიმდინარეობს სამუშაოები შაქრის ჭარხლისა და სიმინდის ნათესებში, ნაწვერალზე თესავენ სიმინდს, ბაღებში მოსაკრეფია კურკოვანი ხილი, დაიწყო მწვანე მასის დასილოსება, აბინავებენ ნამჯას, აქედანვე ემზადებიან საშემოდგომო თესვისათვის.

აბა რომელ ერთ საქმეს ეღალატება! ამიტომ საჭიროა კოლმეურნეობათა გამგეობებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ისე გაანაწილონ ძალები, რომ არც ერთი სამუშაო არ ჩამორჩეს. გორის რაიონის იმ კოლმეურნეობებში, სადაც სწორია შრომის ორგანიზაცია და ძალები ყველა უბანზეა განაწილებული, წარმატებებსაც აღწევენ. ასეა შავშვებსა და ნიქოზში, ზერტსა და შინდისში, სკრასა და თორტიზაში და ზოგიერთ სხვა კოლმეურნეობაში.

მივბაძოთ მოწინავეებს

ტყვიავისა და ახალსოფლის მტს-ების კოლექტივები ერთმანეთს ეჯიბრებიან პურეულის მოსავლის მოკლეკვადაში და უდანაკარგოდ აღებისათვის. ორივე მტს-ში შეჯიბრებამ ბევრი მოწინავე ადამიანი გამოავლინა. მოსავლის აღებაში დაწინაურდა ტყვიაველი კომბაინერი გ. ხარებაშვილი, რომელმაც სოფელ ფხვენისის კოლმეურნეობაში ათ სამუშაო დღეში მომკა 270 ჰექტარი და ამით ნაკისრი ვალდებულება გადამეტებით გაანაღდა. მას ბევრად არ ჩამორჩება ახალსოფლელი კომბაინერი ე. ბაინდურაშვილი, რომელსაც ამავე დროში აღებული აქვს 255 ჰექტარი. მოწინავე კომბაინერების კომბაინთა აგრეგატების კოლექტივებს მიკუთვნებული აქვთ მტს-ების გარდამავალი წითელი დროშა.

მისაბაძია აგრეთვე კომბაინერების დ. გონიაშვილის, თ. ჯალაბაძის (ტყვიავის მტს-ი), ი. კრავჩენკოს, ე. დუდაშვილის, ფ. მაყაშვილის, გ. ცერცვაძის (ახალსოფლის მტს-ი) მუშაობის მაგალითი. მათ უკვე მომკილი აქვთ 200-250 ჰექტარი.

მაგრამ ყველა კომბაინერს ასეთი მაჩვენებლები როდი აქვს. ცალკეული კომბაინერები მოსავლის აღების ყოველდღიური გეგმების შესრულებით კმაყოფილდებიან, ზოგიერთები კი ამასაც ვერ აღწევენ — გეგმებს ვერ ასრულებენ. მაგალითად, ახალსოფლელი კომბაინერები ი. საათაშვილი და ზ. რაზმაძე ყოველდღიურად საშუალოდ 8-9 ჰექტარზე იღებენ მოსავალს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10 ჰექტარისა, ხოლო კომბაინერები თ. ლანგურაშვილი, გ. ქარელი (ტყვიავის მტს-ი), ა. თვაური, დ. მარანელი, გ. გოჩიაშვილი (ახალსოფლის მტს-ი) ყოველდღიურად 10-11 ჰექტარზე მეტს ვერ მკიან.

რა არის მიზეზი? ის, რომ მათი კომბაინები ზოგჯერ შეფერხებით მუშაობენ. ამასთან მკას არ აწარმოებენ აღრე დილიდან გვიან ღამემდე. ამის დასადასტურებლად მოვიყვანთ ფაქტს. 23 ივლისს კომბაინერ ა. თვაურის (სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობაში იღებს მოსავალს) კომბაინი კარბიურატორის დაზიანების გამო შუადღემდე მოცდა, მაგრამ შემდეგ შეუფერხებლად იმუშავა გვიან ღამემდე და კიდევ მომკა 17 ჰექტარი. ეს მაშინ, როცა ა. თვაურის კომბაინის საშუალო დღიური დატვირთვა სხვა დღეებში 11 ჰექტარს არ აღემატებოდა.

აღვკვეთოთ დანაკარგები

რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ცუდად იბრძვიან დანაკარგების წინააღმდეგ. სოფელ მეღვრეკისის კოლმეურნეობა „დიდ ლიახვში“ კომბაინს არ მისდევენ თავთავის მკრეფავები. 24 ივლისისათვის მოსავალი მომკილი იყო 320 ჰექტარზე, მაგრამ თავთავები სანახევროდაც არ იყო აკრეფილი.

სოფელ დიცის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. გორგიშელი აკრეფილად თვლის თავთავებს იმ ნაკვეთებში, სადაც ერთ კვადრატულ მეტრ ფართობზე დარჩენილია 8-9 თავთავი. გამოდის, რომ კოლმეურნეობა თვითეულ ჰექტარზე კარგავს 4 ფუთზე მეტ მარცვალს.

დანაკარგებს წარმატებით ებრძვიან ცუდად იბრძვიან აგრეთვე სოფელ ხელთუბნის, ბერბუკის, მეღვრეკისის კოლმეურნეობები.

იყო ასეთი ფაქტი: 23 ივლისს სოფელ ტირძნისის კოლმეურნეობა „კავკასიონის“ მეოთხე ბრიგადის (ბრიგადირი კ. ხმიადაშვილი) ნაკვეთში მოსავალს იღებდა კომბაინერი მ. ჩიხლაძე. ნაკვეთში მიტანილი არ იყო საწყორი, და ბუნკერიდან ჩამოცლილი მარცვალი აუწონავი იგზავნებოდა საველე საწყობში.

აქედანვე ემზადოთ საშემოდგომო თესვისათვის

მოწინავე კოლმეურნეობები აქედანვე ემზადებიან საშემოდგომო თესვისათვის — კონდიციამდე აჰყავთ სათესლე მასალა. სოფელ ნიქოზის კიროვის სახელობის კოლმეურნეობამ მთლიანად გაასუფთავა საშემოდგომო თესვისათვის საჭირო ხორბლის თესლი. თესლის წმენდა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს აგრეთვე სოფელ შინდისის ლენინის სახელობის და სოფელ ზერტის კოლმეურნეობებში.

მაგრამ არის ნაკლოვანებანი. ზოგან მარცვალ-საწმენდ მანქანებს სრული დატვირთვით არ ამუშავებენ. ცალკეულ კოლმეურნეობებში მარცვალსაწმენდად არ იყენებენ ტრიერებს და მარცვალს ხელით, ცხავებით წმენდენ. სოფელ მეჯვრისხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში უქმად დგას მარცვალსაწმენდი მანქანა. 20 ივლისამდე სოფელ ფხვენისის კოლმეურნეობაში უქმად იდგა მარცვალსაწმენდი მანქანა ძრავის უქონლობის გამო. ამიტომ კოლმეურნეობას 70 ტონამდე მარცვლის გაწმენდა ხელით მოუხდა.

საჭიროა რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა გაძლიერონ კოლმეურნეთა და მექანიზატორთა შორის ორგანიზატორული მუშაობა, უზრუნველყონ კომბაინების სრული დატვირთვით გამოყენება, არ დაუშვან პურეულის დანაკარგები.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ჩაის უხვი მოსავლის ოსტატები

 წალენჯიხა. (საკ. კორ.). წალენჯიხელმა მეჩაიეებმა კარგად იციან, რომ დადგა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულების გადამწყვეტი დღეები. ამიტომ დღითიდღე ძლიერდება ჩაის კრეფის ტემპი. სოფელ ორჯონიკიძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს მეჩაიე ტ. მანია. იგი მოსავლელად მიჩენილ 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში დილის 7 საათიდან გვიან ღამემდე ტრიალებს.

ტ. მანია მაისიანისში დღიურად 45-50 კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ფოთოლს კრეფდა, ივლისში — 70-80 კილოგრამს, ხოლო ცალკეულ დღეებში — 100 კილოგრამ ხარისხოვან ჩაის ნედლეულს. დღემდე ტ. მანიას 3.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი აქვს მოკრეფილი, ხოლო ვალდებულება აქვს ნაკისრი 0,5 ჰექტარზე მოკრიფოს და მრეწველობას ჩაბაროს 6 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

• • •

სურათზე: ტ. მანია მოსავლელად მიჩენილ ნაკვეთში ჩაის ფოთლის კრეფის დროს.

ფოტო ბ. გავრილენკოსი.

პარტიული ცხოვრება

რაიკომის ინსტრუქტორთა ორი ჯგუფი—ორი მაგალითი

რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი შულავრის მტს-ის ზონაში პრაქტიკული გამოცდილებით არაერთგზის დარწმუნდა, რომ სოფლის მეურნეობისადმი კონკრეტული ხელმძღვანელობა, კოლმეურნეებთან, მექანიზატორებთან ცოცხალი მუშაობა, პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლება და კომუნისტთა ავანგარდული როლის გაძლიერება საბეურნეო წარმატებათა ძირითადი საფუძველია. რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფის წევრებს პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობის ცენტრი გადატანილი აქვთ საკოლმეურნეო წარმოების წამყვან უბნებზე, იქ, სადაც უშუალოდ წყდება მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღების, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სიუხვის შემდგომი ზრდის ბედი.

რაიკომის ინსტრუქტორებს შულავრის მტს-ის ზონაში ა. რაგიმოვს, ჯ. მამედოვსა და ს. სარქისიანს შედგენილი აქვთ მუშაობის კონკრეტული გეგმა. ამის მიხედვით რაიკომის მდივანმა მტს-ის ზონაში იცის, ამა თუ იმ დღეს რომელ კოლმეურნეობაში იმყოფება ინსტრუქტორი და რა საკითხზე მუშაობს. ინსტრუქტორთა ჯგუფის წევრები თვეში სამჯერ იკრიბებიან და ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მოსაზრებებს.

წელს რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფმა ზონის კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის სამჯერ მოაწყო სემინარი. პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობის სხვადასხვა საკითხთან ერთად ამ სემინარებზე განიხილეს შემდეგი თემები: სოციალისტური შეჯიბრებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა, კომუნისტთა ავანგარდული როლი მოსავლის აღების დღეებში, კედლის გაზეთებისადმი პარტიული ხელმძღვანელობა. სემინარი მოეწყო აგრეთვე პარტჯგუფორგებისათვის.

შულავრის მტს-ის მექანიზატორებს წელს პირველად მიეცათ დავალება პურეულის მოსავალი აეღოთ ახალი წესით — ორ ფაზად (გაყოფით). მაგრამ მათ საამისო გამოცდილება არ გააჩნდათ. რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფმა მოიშველია ნაცადი ხერხი — გამოცდილების განზოგადება. მტს-ის მოწინავე კომბაინერმა კომუნისტმა ნ. მამედოვმა ორჯერ მიიღო მონაწილეობა ყაზახეთის ველებზე მოსავლის აღებაში და პურეულის ორ ფაზად აღების საკმაო გამოცდილებაც შეიძინა. და აი სწორედ ნ. მამედოვს სთხოვეს კომბაინერებისათვის გაეზიარებინა თავისი გამოცდილება. მან კომბაინერებს ადგილზე პრაქტიკულად აჩვენა, თუ როგორ უნდა აიღონ მოსავალი ორ ფაზად. ეს ახალი საქმე ნ. მამედოვთან ერთად მიანდეს კომუნისტებს კომბაინერ ს. კარახანიანს, ტრაქტორისტ ა. ჩირკინიანს და სხვებს. პირველსავე ხუთდღიურში შაუმიანის, წითელი სოფლისა და არაფლოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობათა ნაკვეთებზე ორ ფაზად აღებულ იქნა 120 ჰექტარი.

კარგი შედეგი გამოიღო აგრეთვე შაუმიანის კოლმეურნეობის მოწინავე მწველავის შ. ზანგინიანის მუშაობის გამოცდილების განზოგადებამ, რაც რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფის ინიციატივით განხორციელდა. შ. ზანგინიანმა მიმდინარე წლის ექვს თვეში თვითეულ ძროხაზე 1.348 ლიტრი რძე მიიღო ნაცვლად გასული წლის ამავე პერიოდში მოწველილი 996 ლიტრისა. მოწინავე მწველავის მუშაობის გამოცდილების განზოგადების შედეგად მარტო ამ კოლმეურნეობაში მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით წველადობა თვითეულ ძროხაზე 50 ლიტრით გაზარდეს.

შულავრის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში დიდი აღფრთოვანებით მიიღეს კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანა — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს თვითეულ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. მტს-ის ზონის კოლმეურნეობებმა გადაწყვეტეს უკვე 1957 წელს ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე აწარმოონ 37 ცენტნერი ხორცი, მათ შორის ღორის ხორცი — 21 ცენტნერი ყოველ 100 ჰექტარ სახნავზე. ცალკეულმა კოლმეურნეობებმა უფრო მაღალი ვალდებულებები აიღეს.

კოლმეურნეთა ამ წამოწყების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლას სათავეში ჩაუდგა რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი. ამ საკითხზე რაიკომის მდივანმა ბ. კალაევმა მოაწყო საუბარი საზაფხულო საძოვრებზე მყოფ მწყემსებთან, რომლებმაც დამატებით კიდევ უფრო გადიდებული ვალდებულებები იკისრეს. მეცხოველეებს გადაწყვეტილი აქვთ შარშანდელთან შედარებით წელს სამჯერ მეტი სილოსი დაამზადონ იმ ვარაუდით, რომ თვითეულ ძროხაზე მოდიოდეს სულ ცოტა 10 ტონა. შემოდგომა-ზამთრის მთელ პერიოდში მწვანე საკვებით პირუტყვის უზრუნველყოფის მიზნით წელს ნაწვერალზე თესავენ 1.350 ჰექტარ სიმინდს, შარშანდელზე თითქმის ერთიორად მეტს.

შულავრის მტს-თან შედარებით აშკარად მკრთალად მოჩანს მარნეულის მტს-ის მაჩვენებლები. შარშან მტს-მა სატრაქტორო სამუშაოთა გეგმა 9 ძირითად სახეობაში ვერ შეასრულა. შესრულებული არ არის აგრეთვე სიმინდის, თამბაქოს, მთელი რიგი სხვა კულტურების მოსავლიანობის გეგმები. მაღალია პროდუქციის ერთეულზე შრომადღეების დანახარჯი, დაბალია წველადობა და სხვ. და ეს მაშინ, როცა მარნეულის მტს-ს შულავრის მტს-თან შედარებით ნაკლები შესაძლებლობანი როდი აქვს.

ყოველივე ეს იმის შედეგიც არის, რომ რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი მარნეულის მტს-ის ზონაში (რაიკომის მდივანი ა. ივაზოვი, ინსტრუქტორები შ. ხარჩილაძე და ა. მამედოვი) ღრმად ვერ სწვდება მტს-ის, კოლმეურნეობებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებას, სუსტად სწავლობს სოფლის მეურნეობის რეზერვებს და განვითარების პერსპექტივებს, არადამაკმაყოფილებლად წარმართავს მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას მექანიზატორებსა და კოლმეურნეებს შორის.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მარნეულის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში 4.694 შრომისუნარიანი კოლმეურნიდან 622-ს არ გამოუმუშავებია შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი. ამ მხრივ განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა მარნეულის სტალინის სახელობის, გიაურარხის ორჯონიკიძის სახელობისა და სოფელ აზიზქენდის კოლმეურნეობებში. სამწუხაროდ, რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი ქმედით ზომებს არ იღებს კოლმეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

მარნეულისა და აზიზქენდის კოლმეურნეობებში წელს პურეული ორ ფაზად (გაყოფით) ას-ას ჰექტარზე უნდა აეღოთ. ფაქტიურად პირდაპირი კომბაინირებით მოსავლის აღების მასობრივად დაწყებისას აზიზქენდის კოლმეურნეობაში ორ ფაზად მხოლოდ 30 ჰექტარი პურეული იყო აღებული. ხოლო მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ერთ-ერთ ნაკვეთში, სადაც პურეულს ორ ფაზად უხარისხოდ იღებდნენ, არათანაბრად და ძალიან დაბლა მკის გამო ბევრი მარცვალი იკარგებოდა.

ხელშეკრულების მიხედვით მარნეულის მტს-ს სტალინის სახელობის კოლმეურნეობისათვის წელს უნდა მოეწყო მექანიზებული კალო, რომელიც დღეში 800 ტონამდე მარცვლეულს დაამუშავებდა. სინამდვილეში მტს-მა ასეთი კალოს მოწყობა ვერ უზრუნველყო.

რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი მოწოდების სიმაღლეზე რომ იდგეს, ასეთი და ამის მსგავსი ნაკლოვანებანი თავიდანვე იქნებოდა აღკვეთილი.

— წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განვახორციელეთ ჰექტარზე თამბაქოს რგვის სიხშირის გადიდებისათვის, რაც ამ კულტურის მოსავლიანობის ზრდის მნიშვნელოვანი პირობაა, — ამბობს ამხ. ივაზოვი.

შემოწმებამ კი ცხადყო, რომ ამ დარგშიც ყველაფერი რიგზე ვერ არის. მარნეულის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში ჰექტარზე თამბაქოს რგვის სიხშირე ნორმით 73 ათასზე ნაკლები არ უნდა იყოს, სასურველია თუ 80 ათასზე მეტიც იქნება. ფაქტიურად კი საშუალო სიხშირე ჰექტარზე 68 ათასს არ აღემატება. კოლმეურნეობებში ძლიერ ნელი ტემპით მიმდინარეობს თამბაქოს ფარდულებისა და საშრობების მშენებლობა, ოთხი კოლმეურნეობა ამ ობიექტების მშენებლობას ჯერ არც კი შესდგომია.

რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფი მარნეულის მტს-ის ზონაში არადამაკმაყოფილებლად იბრძვის მოწინავეთა გამოცდილების ყველა კოლმეურნის კუთვნილებად გადაქცევისათვის. შარშან მარნეულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოემ გ. დარბაიძემ ჰექტარზე 19 ცენტნერი თამბაქო მიიღო, ი. თვარელიძემ — 21 ცენტნერი. მაგრამ მათი მუშაობის გამოცდილების ფართოდ განზოგადება ფიქრად არავის მოსვლია.

ხშირია კოლმეურნეობათა ხელმძღვანელი კადრების შეცვლა. უკანასკნელ ორ წელიწადში სოფელ საბირქენდის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში და სოფელ თამარისის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“ თავმჯდომარეები ორ-ორჯერ იქნა შეცვლილი. კოლმეურნეობა „გამარჯვების“ მუშაობაში ახალი თავმჯდომარის შერჩევის შემდეგაც არ მომხდარა გარდატეხა. კვლავ დაბალია შრომის დისციპლინა, უხეშად ირღვევა თამბაქოს, სიმინდისა და სხვა კულტურების დამუშავების აგროტექნიკური ვადები. ნაკლებად იგრძნობა პარტიული ორგანიზაციის როლი ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის ბრძოლაში.

— მოსავლის აღების დღეებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრი გადატანილია საკოლმეურნეო მინდვრებზე. მტს-ის ზონაში 70 აგიტატორი მუშაობს, — განმარტავს ამხ. ივაზოვი.

ადგილზე შემოწმებამ კი სულ სხვა სურათი გვიჩვენა. მაგალითად, სოფელ ყიზილაჯლოს კოლმეურნეობის ცენტრალურ კალოზე, სადაც ერთადერთი ლოზუნგი აღმოჩნდა, არ გამოდის საველე გაზეთი, აგიტატორები კოლმეურნეთა იშვიათი სტუმრები არიან.

— რა ვალდებულებები იკისრეს თქვენი ზონის ორ კოლმეურნეობაში ყოველ 100 ჰექტარ მიწის სავარგულებზე მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებისათვის? რომელი კომბაინერი დაწინაურდა მოსავლის აღებაში? ამ შეკითხვებზე ზონის ინსტრუქტორი შ. ხარჩილაძე პასუხს ვერ პოულობს.

რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფის წევრები მარნეულის მტს-ის ზონაში ნაკლებად იცნობენ თავიანთი ზონის კოლმეურნეობათა ეკონომიკას, მისი შემდგომი განვითარების პერსპექტივებს.

• • •

პარტიის მარნეულის რაიკომის ინსტრუქტორთა ორი ჯგუფის მუშაობის შედარება აშკარად მოწმობს, თუ რა დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანებთან ცოცხალ, ორგანიზატორულ მუშაობას პარტიის მიერ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის დასახული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საქმეში. რაიონულმა კომიტეტმა მეტი ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს რაიკომის ინსტრუქტორთა ჯგუფს მარნეულის მტს-ის ზონაში, დაეხმაროს მას საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებთან, ადამიანებთან მუშაობის გაუმჯობესებაში.

გ. გელაშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

სოფლის მეურნეობის მუშაკთა ეკონომიური კონფერენცია

თელავის რაიონის სოფლის მეურნეობის მუშაკთა პირველ ეკონომიურ კონფერენციას, რომელიც ამას წინათ გაიმართა, ორასზე მეტი კაცი დაესწრო. მათ შორის იყვნენ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ბუხჰალტრები, მეცხოველეობის ფერმების მუშაკები, მევენახეობისა და მემინდვრეობის ბრიგადების ბრიგადირები, მერძეულურები, საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, მექანიზატორები, სპეციალისტები.

კონფერენციამ მოისმინა მოხსენებები: დოცენტ შ. ჭელიძისა — „შრომისა და მატერიალურ საშუალებათა დანახარჯები და მათი შემცირების გზები კოლმეურნეობებში“; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კორეს-კორესპონდენტის, პროფესორ ზ. ბომიზურაშვილისა — „მეხილეობის განვითარების ამოცანები“; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ს. ერქომაიშვილისა — „მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების შესახებ“ და თელავის რაიონის სოფელ სანიორის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ თავმჯდომარის ა. მარტოლტოვისა — „მევენახეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებ“.

კამათში პირველი გამოვიდა თელავის მტს-ის მთავარი ზოოტექნიკოსი ამხ. ა. თარაშვილი. მან თქვა:

— ყოველი საშუალებით უნდა ვიბრძოლოთ კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების ამაღლებისა და პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე მოდის დანახარჯების შემცირებისთვის.

ამხ. ოთარაშვილი შემდეგ ასახელებს ციფრებს, რომლებიც რაიონში მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდებას მოწმობს. 1950 წელთან შედარებით შარშან სამჯერ გაიზარდა ძროხების წველადობა. შესაბამისად შემცირდა ერთი ცენტნერი რძის წარმოების ხარჯები. ეს კარგია, მაგრამ ის არ არის მოსაწონი, რომ რაიონში ჯერ კიდევ ბევრია გამოუყენებელი შესაძლებლობანი. ეს ითქმის პირველ რიგში საკვები ბაზის შესახებ.

ვარდისუბნის ს. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსმა ამხ. გ. ჯაშიაშვილმა განაცხადა:

— მეცხოველეობის პროდუქტიულობის გადიდების ერთ-ერთი ძირითადი ფრონტი პირუტყვის ჯიშის გაუმჯობესებაა. მაღალპროდუქტიული შვიცის ჯიშისა და ნაჯვარი თაობის ბუღა ინსემინაციებით შეჯვარების შედეგად ასი პროცენტით გაუმჯობესებულ თაობას ვიღებთ. ადგილზე გამოზრდილმა ფაბრიკის ნაჯვარმა ძროხამ „დოლამ“ 341 დღეში 4.181 ლიტრი რძე მოიწველა. წელს მისგან ხუთი ათას ლიტრზე მოველით.

კისისხევის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. გ. საგანელიძემ ილაპარაკა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გზებზე. მან თქვა, რომ კოლმეურნეობა მატერიალური დაინტერესების პრინციპის თანმიმდევრულად განხორციელებით და სხვა ღონისძიებათა შედეგად კოლმეურნეობაში მკვეთრად ამაღლდა ყველა სახის პროდუქციის წარმოება. წინა წელთან შედარებით ერთ ჰექტარ ვენახზე შარშან მიღებულია 30 ცენტნერით მეტი ყურძენი, თვითეულ საფურაჟე ძროხაზე — ორასი ლიტრით მეტი რძე, ხორცი — 6 ცენტნერით მეტი და ა. შ. მისასალმებელია, რომ ამასთან ერთად მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის ერთეულის წარმოების ხარჯები.

შალაურის კოლმეურნეობის აგრონომმა ამხ. ს. ლობჯანიძემ ილაპარაკა კოლმეურნეობაში შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და დანახარჯების შემცირების გზების შესახებ. მან მოიყვანა ციფრები, რომლებიც ცხადყოფს სათოხნი კულტურების კვადრატულ-ბუდობრივად თესვის დიდ უპირატესობას. მას საჭიროდ მიაჩნია გაუქმდეს სატრაქტორო ბრიგადაში ბრიგადირის მოადგილისა და აღმრიცხველის შტატები. მანვე დააყენა საკითხი მდინარე ალაზნიდან ნაკვეთების მოსარწყავად ტუმბოებით წყლის ამოქაჩვის მოწყობის შესახებ.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტის თელავის ზონალური საცდელი სადგურის განყოფილების გამგემ ამხ. გ. მაზანაშვილმა კონფერენციის მონაწილეებს მოუთხრო მევენახეობაში მეცნიერების მიღწევების შესახებ.

ქვემო ხოდაშნის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. კირვალიძემ თავისი გამოსვლა მიუძღვნა საკითხს — „სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი წესდება მოქმედებაში“.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე თელავის მტს-ის ინსტრუქტორ-ბუხჰალტერმა ა. მარინაშვილმა, ვანთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ქ. კირვალიძემ და სხვებმა.

უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგიერთი მოკამათე, ლაპარაკობდა რა მიღწევებზე, არაფერს ამბობდა იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, არ აყენებდა წინადადებებს მუშაობის უკეთ წარმართვის უზრუნველსაყოფად. კარგი იქნებოდა, რომ კონფერენციაზე გამოსულიყვნენ რიგითი მექანიზატორები, მწყემსები, მერგოლურები და ელაპარაკნათ თავიანთ გამოცდილებაზე. ისიც არ იქნებოდა ცუდი, რომ განზოგადებულიყო ცალკეული სპეციალისტების მუშაობის გამოცდილება.

ეკონომიურმა კონფერენციამ რაიონული საბჭოს აღმასკომთან შექმნა ეკონომიური საბჭო. საბჭოში არჩეულ იქნა 23 ამხანაგი. მათ შორის არიან სანიორის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. მარგალიტოვი, ვარდისუბნის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი გ. ჯაშიაშვილი, წინანდლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. მოდებაძე და სხვ. ეკონომიური საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. მეგრელიშვილი.

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მ ა ხ ა რ ა ძ ე. კულტურისა და დასვენების პარკის შესასვლელი. ფოტო შ. კუკულავისა.

★

აგიტმხატვრული მომსახურება სოფლებს

ლენტეხი. (საკ. კორ.). სოფლად მასობრივ-საგიტაციო მუშაობის დარგში მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს რაიონული კულტურის სახლის კოლექტივი. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდში კულტურის სახლთან არსებულმა აგიტმხატვრულმა ბრიგადამ, რომელშიც შედიოდნენ მომხსენებლები, აგიტატორები, მომღერლები, მოცეკვავეები და სხვ., მომსახურება გაუწიეს ტანის სამთომეტალურგიული კომბინატის მუშა-მოსამსახურეებს, მელეს, ეახუნდრის, სასაშის, ჩოლურის, ხელედის, ზოფურის, რცხმელურის და სხვ. კოლმეურნეობებს.

აგიტმხატვრული ბრიგადა ზაფხულის პერიოდში მომსახურებას გაუწევს მეზობელი რაიონების კოლმეურნეობებსაც.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ხარისხი დაივიწყეს“

სამტრედიის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში ჩაის კრეფის ტემპი შეანელეს. ყველაზე ცუდი მდგომარეობაა სოფელ კულაშის კბილინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც მოუწესრიგებელია შრომა. ჩაშლილია მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ყურადღება არ ექცევა მოწინავეთა გამოცდილების გავრცელებას. კოლმეურნეობაში დიდია დანაკარგები, არ სრულდება გეგმა, ხშირია ჩაის ფოთლის კრეფის წესების დარღვევის ფაქტები, — წერდნენ „კომუნისტის“ 9 ივნისის ნომერში რედის მონაწილენი.

პარტიის სამტრედიის რაიკომის მიერომ განიხილა აღნიშნული წერილი და სამართლიანად ცნო „კომუნისტის“ კრიტიკა. მხილებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად მიღებულია საჭირო ღონისძიებანი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

— ქარელის რაიონის სოფელ ღოღეთში მოუგვარებელია კეთილმოწყობის სამუშაოები და მოსახლეობის კულტურულ-მასობრივი მომსახურება, ნაკლები ყურადღება ექცევა კონცერტების გამართვას, კინოსურათების ჩვენებას, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას, — სწერდა რედაქციას მკითხველი ა. გელაშვილი.

ქარელის რაისაბჭოს აღმასკომმა ამსჯელა წერილში მოყვანილ ფაქტებზე და დაავალა კულტურისა და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებებს უახლოეს დროში აღმოფხვრან ნაკლოვანებანი სოფელ ღოღეთის მოსახლეობის მომსახურების საქმეში.

დღე მსხვილი ბლოკების პოლიგონზე

დიდუბეში მთავართბილმშენის სამშენებლო ინდუსტრიულ საწარმოთა კომბინატის მსხვილი ბლოკების პოლიგონზე 45 კაცი მუშაობს. ისინი ყოველი დღის განმავლობაში 40-45 კუბმეტრ მსხვილ და საკედლე ბლოკებს უშვებენ თბილისელი ბინათმშენებლებისათვის.

ცოტაა თუ ბევრია 40-45 კუბმეტრი საკედლე ბლოკი? — ეს ბევრი არ არის, მაგრამ არც ისე ცოტაა, რომ ბინათმშენებლებმა საუღდერი გამოთქვან საკედლე ბლოკების პოლიგონზე მომუშავეთა მიმართ. გაანგარიშება ასეთია: 24-ბინიან ხუთსართულიან სახლს, თუ თვე 8 სამოთახიან, 8 ოროთახიან და ამდენსავე თითოოთახიან ბინას შეიცავს, სჭირდება 900-1.000 კუბმეტრი ბლოკი. მაშასადამე, პოლიგონის კოლექტივი, რომელიც თავდადებით და ენთუზიაზმით მუშაობს ბინათმშენებლებისათვის ხელის გასამართავად, ყოველ 18-20 დღეში იძლევა ერთი ხუთსართულიანი სახლის ასაგებად საჭირო სამშენებლო ბლოკებისა და სხვა დეტალების კომპლექტს. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ამჟამად თბილისში მსხვილბლოკებიანი 9 დიდი საცხოვრებელი სახლი შენდება, გასაგები გახდება, რომ პოლიგონის კოლექტივი მშენებლებისათვის ბლოკების მოუწოდებლობით საქმეს არ შეაფერხებს.

ეს ასეც არის. არც ერთი სამშენებლო ობიექტიდან ალარ გაისმის საყვედურის ხმა საკედლე ბლოკების სიმცირის შესახებ, და მხსვილი ბლოკების ოსტატები ამით ამაყობენ. მაგრამ სულ მალე მსხვილი ბლოკებით საცხოვრებელი სახლების აგება თბილისში მასობრივად გაჩაღდება და თუ მეტბლოკეებმა ამთავითვე არ მიიღეს ზომები საკედლე ბლოკების გამოშვების გასადიდებლად, მშენებლებს მოიმდურებენ.

ცნობილია, რომ ბინათმშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდით მუშაობა ნიშნავს სპეციალურ ქარხნებში დამზადებული და მშენებლობაზე შემოზიდული სამშენებლო დეტალებისაგან საცხოვრებელი სახლის სამშენებლო მოედნის სამონტაჟო მოედნად გადაქცევას. ეს კი უზრუნველყოფს შენობის სწრაფად, მაღალხარისხოვნად, იაფად აგებას, სამინაო მშენებლობის მოცულობის გაფართოებას, არსებული თანხებით მეტი საცხოვრებელი ფონდის შექმნას.

მშენებლები უკვე შეუდგნენ იმის ვარაუდს, თუ რამდენად უნდა გააფართოონ საბინაო მშენებლობის ფრონტი მომავალ წელს, და ამასთან დაკავშირებით სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა კოლექტივებიც ემზადებიან მომავალი წლის გადიდებული სამშენებლო გეგმების შესრულებისათვის მზადებაში.

მთავართბილმშენის სამშენებლო ინდუსტრიულ საწარმოთა კომბინატი ამჟამად 36 სხვადასხვა ტიპისა და ზომის ბლოკებს ამზადებს. ცალკე არის კომბინატში მოწყობილი რკინაბეტონისა და ბეტონის ასაწყობი კონსტრუქციების დასამზადებელი პოლიგონი. კომბინატის ხელმძღვანელებს დირექტორს ი. მაისურაძეს, მთავარ ინჟინერს მ. ახვლედიანს, პარტორგანიზაციის მდივანს შ. ლეჟავას, ადგილობრივი პროფორგანიზაციის თავმჯდომარეს გ. ხმალაძეს საჭიროდ მიაჩნიათ განხორციელდეს სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა სპეციალიზაცია. წვრილი სამშენებლო ბლოკების წარმოება უნდა მიენდოს ბეტონის ქარხანას, ბეტონისა და რკინაბეტონის ყველა სახელწოდების ასაწყობი კონსტრუქციების გამოშვება დაეკისროს რკინაბეტონის კონსტრუქციების ქარხანას. ხოლო სამაგიეროდ, ამ ორივე გასადიდებს მსხვილი საკედლე ბლოკების წარმოება. სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოთა სპეციალიზაციის განხორციელება საშუალებას მოგვცემს ერთიორად და მეტად გავადიდოთ სამშენებლო დეტალებისა და კონსტრუქციების გამოშვება, გავაფართოოთ არსებული საწარმოები და უკეთესად გამოვიყენოთ საწარმოო ფართობები.

* * *

სამუშაო დღე მსხვილი ბლოკების პოლიგონზე დილის 8 საათზე იწყება და ორ ცვლად მუშაობისას ღამის 12 საათამდე გრძელდება. ამ თექვსმეტი საათის განმავლობაში პოლიგონზე ერთი წუთითაც არ წყდება მუშაობა. ბრიგადები, მათი წევრები მორიგეობით ისვენებენ. მოდიან ავტომანქანები, კოშკურა მოხიარულე ამწე ძლივს აუდ ხ მათ დატვირთვას მსხვილი ბლოკებით, ნაწილი მუშებისა ყალიბებისაგან ახალ ბლოკებს ათავსებენ და სატვირთავ მოედანზე მეორე ამწეთი გადმოაქვს, ორი კაცი ხელში გრძელი შლანგებით ნედლ ბლოკებზე წყალს ასხურებს, რათა ბლოკის გამკვრივება დაჩქარდეს და მზის მცხუნვარებამ ყალიბში ჩასხმული ბეტონი არ დააზიანოს.

ზაფხულის მზე აცხუნებს პოლიგონზე, მაგრამ მუშები სიცხეს არ ერიდებიან, ენთუზიაზმით, ხალისით მუშაობენ და დიდად ნაზობენ, რომ საკედლე ბლოკების დამზადების ტექნოლოგია აუცილებლად მოითხოვს დღე-ღამეში რვა საათ თავისუფალ დროს, რათა დღის პირველ ნახევარში ჩამოსხმულმა ბლოკებმა მეორე დილით გამკვრივების ნორმას მიაღწიოს, მშენებლობაზე გამოსაყენებლად ივარგოს და ასე თანდათანობით გუშინ ღამის 12 საათამდე დამზადებული ბლოკები დღეს სამშენებლო ობიექტებს გაეგზავნოთ.

ახლოვდება მშენებლების საკავშირო დღესასწაული — 11 აგვისტო. პოლიგონის კოლექტივი შეუნელებლად იბრძვის იმისათვის, რომ ყოველმხრივი დახმარება გაუწიოს ბინათმშენებლებს ამ დღესასწაულისათვის ახალი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის დამთავრებაში.

ყოველი 20 დღის ნაცვლად ყოველ 15-16 დღეში ერთი ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლისათვის საჭირო საკედლე ბლოკების გამოსაშვებად იბრძვის პოლიგონის კოლექტივი.

დ. ამირანიძე.

ხ უ რ ა თ ზ ე: ბლოკის საყალიბო ჩარჩოს გადაადგილების მომენტი. წინ — ახლადდაყალიბებული ბლოკების წყება.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

მოკლე ცნობები ადგილებიდან

ზუგდიდის თეატრის გასტროლები

ამბროლაური. (საკ. კორ.). ზუგდიდის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა ამბროლაურელებს უჩვენა თავისი ახალი დადგმები: მოლიერის „ძალად ექიმი“, რ. ებრალიძის „ნანა“, გ. ივანიშვილის „სადგური საჭამია“ და მ. ჯაფარიძის „ყამბავერის ასული“ (რეჟისორები — ვ. მჭედლიძე, გ. მაცხონაშვილი და ა. მაღლაკელიძე). როლების საუკეთესო შესრულებით მაყურებელთა მოწონება დაიმსახურეს მსახიობებმა გ. ლაბაძემ, დ. ჯაფარიძემ, შ. მოსიამ, პ. შაფათავამ, ლ. კედიამ, დ. ყუფარაძემ, მ. კორინთელმა, ს. პაჭკორიამ და რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ა. როგავამ. თეატრის კოლექტივმა გამსვლელი საღამო-წარმოდგენები გამართა აგრეთვე რაიონის 10 კოლმეურნეობაში.

ლექციები კურორტებზე

ონი. (საკ. კორ.). ამ დღეებში საქართველოს მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ლექტორმა ბ. ბახტაძემ შოვნა და უწერაში დამსვენებლებს წაუკითხა ლექციები შემდეგ თემებზე: „შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა“, „ნ. ბარათაშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, „რუსი და ქართველი ხალხების ისტორიული მეგობრობა“ და „ალექსანდრე ბლოკის პოეზია“. ლექციები წაკითხულ იქნა აგრეთვე შოვის ტურისტთა ბაზაში.

ახალი აფთიაქი

მახარაძე. (საკ. კორ.). ამ დღეებში რაიონის ცენტრიდან 6-7 კილომეტრის დაშორებით, ნარუჯის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, გაიხსნა ახალი აფთიაქი, რომელიც მოთავსებულია კარგ ბინაში და უზრუნველყოფილია საჭირო მედიკამენტებით.

საკომისიო მაღაზია

ტყიბული. (საკ. კორ.). რაიონში იზრდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საკომისიო მაღაზიების რიცხვი. ამ დღეებში კურორტ საწარეში ჩამოსულ დამსვენებელთა პროდუქტებით უკეთ მომსახურების მიზნით გაიხსნა ახალი საკომისიო მაღაზია. იგი სისტემატურად მარაგდება ახალი პოსტნეულით და სხვადასხვა სახის პროდუქტებით. ამჟამად რაიონში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების 8 საკომისიო მაღაზია მუშაობს.

ახალი მაცივარი

ჭიათურა. (საკ. კორ.). დამთავრდა ხორცკომბინატის ახალი მაცივრის მშენებლობა, რომელიც 400.000-მდე მანეთი დაჯდა. ახალი მაცივარი 120 ტონის ტევადობისაა. ამიერიდან ძველი და ახალი მაცივარი დაიტევს 170 ტონა ხორცსა და ხორცის პროდუქტებს

შეხვედრა მოწინავე მეჩაიეებთან

ლანჩხუთი. (საკ. კორ.). სოფელ ღესის საკოლმეურნეო კლუბში ამ დღეებში მოეწყო კოლმეურნეთა შეხვედრა ამავე სოფლის ცნობილ მეჩაიეებთან — ნ. კვაჭაძესთან და ე. გოგუასთან. მოწინავე მეჩაიეთა გამოცდილების შესახებ მოხსენება გააკეთა ბიბლიოთეკის გამგემ პ. მამალაძემ. მოწინავე მეჩაიეებმა დაწვრილებით ილაპარაკეს ამ მეთოდებსა და ხერხებზე, რითაც ისინი აღწევენ ჩაის მაღალ მოსავალს.

სოფლის კეთილმოწყობა

ჩოხატაური. (საკ. კორ.). ამ უკანასკნელ წლებში კეთილ მოწყობილი და ლამაზი გახდა ჩოხატაურის რაიონის სოფელი იანეული. აქ აგებს კოლმეურნეობის კულტურის ორსართულიანი შენობა, სადაც მოთავსებულია სოფლის სხვადასხვა დაწესებულებანი; დამთავრდა სოფლის კლუბის კეთილმოწყობა, რომელიც 250 მაყურებლისათვის არის გათვალისწინებული. ამ დღეებში დამთავრდა აგრეთვე სოფლის მთლიანი რადიოფიკაციის სამუშაოები. მიმდინარეობს საოლმეურნეო აბანოს მშენებლობა, რომელიც უახლოეს ხანში დამთავრდება.

ოქტომბრის მზის ქვეშ

განახლებული კოლხეთი

ლარივით სწორს და ფართო გზატკეცილს კოლხეთის შუაგულისაკენ მივყავართ. ბანანების გუფუნი შემოგვეცმა. ერთ მარ ექსკავატორები შესცვიან. ისინი ფოლადის მძლავრი ყბებით გლეჯენ ბებერ ხეთა ბუნებს და ახალ-ახალ ფართობს ჰმატებენ ახლადშეღებულ კოლხეთს.. აქეთ კიდევ ახალათვიანებულ მიწაზე ზღვასავით ღელავს სიმინდის ბინე კვადრატები, გარდიგარდმო მიმოდინარ ელექტროვატორიანი ტრაქტორები.

ავენ წინ იშლება თვალწარმტაცი უბნები, ბისტრალური არხები, კოლექტორები. ამ არ ბის საშუალებით ნაწრეტი წყლები უერთ ბა ხობისწყალს, ციას, ციფს, რიონს და, ლს, ზღვას.

ზად კამეჩების მრიწლე შემოგვეყარა. ტა ით მიიხლაზნებიან. შაკი, კრაალა თვალ ა ბუტრდებიან მანქანას.

— ტეხურის საბჭოთა მეურნეობის ფერმი — ამბობს „მგზნებარე კოლხიდელის“ დირექტორი იპოლიტე წურწუმია.

ოლხიდმშენის დირექტორი გიორგი ჯაფა ე გატაცებით გვიყვება ჭაობების ამო ბის ამბებს, გვაცნობს, თუ რას წარმოდ ენ წინათ ეს მიდამოები, როგორია მისი ლოესი პერსპექტივები. ზ სთვის აქ ხომ ფერი ნაცნობია და ახლობელი! იგი ოცეულ წელზე მეტია კოლხიდმშენში მუშაობ. ზუსტად ახსოვს ყველა რიცხვი, ყველა ფრი.

ოლხეთში დღემდე სულ ამოშრობილია ოცი ათასი ჰექტარი ჭაობი, გაყვანილია ს ხუთასამდე გრძივი კოლმეტერი არხი, ს ორმოცდაათი გრძივი კოლმ ტრი გზა ცილი, აგებულია ორასს ათი გრძივი კი ტრი დამბა, აშენებულია მრავალი ხიდი ბეგირი, რომელთა საერთო სიგრძე სამ კი ტრს აღწევს. ეს ათი კილომეტრიდან გა ალილია წყაროს წყალი. რომელიც მომსა ებას უწევს კოლხეთის მიწაზე ახლად და ებულ მოსახლეობას.

ჭალადიდ-ყორათის უბანიც. იგი ყველაზე ბებული ადგილი ყოფილ: მთელ კოლ ში. გაეკვალ ლელიანსა და ლაკშაებში ათასი ქვეწარმავალი ბუდობდა. ზაფხულობით რომ დაიკერდა, შმორის სუნი დატრიალდა ჰაერში, გზეობდა კოღო, მძვინვარეს ბალარია, ძლივს დალასლასებდნენ ციები. დაუძლურებული ადამიანები.

— თხუთმეტ კილომეტრზე გაეშუალა ჭადრების ხეივანში ჩაფლული ფოთი — ჭალადიდის მოასფალტებული გზა, რომლის ორივე მხარეს მიჯრით ჩამწკრივებულან კოპწია ოდა-სახლები. თვალს იტაცებს გეგმიანად ნაშენი უბნები, მოედნები, გზაჯვარედინები, მწვანე ეზოებიდან შემოგვეცინიან წითელი ვარდები.

ეს ქვალონის, ხორგის, ჭალადიდის, ყორათის, საგვიჩიოს, საღვამიჩაოს, ქარიატას კოლმეურნეთა კარმიდამოებია. მაგრამ დაიჯერებს კი ვინმე, რომ ამ ლამაზ სოფლებს სულ რაღაც თხუთმეტი-ოცი წლის ისტორია არც კი აქვთ?

— აქ პირველად დიდი სამამული ომის წინა წლებში ჩამოსახლებულან ამერეთ-სამეგრელოს მწირმიწიანი სოფლებიდან მოსული ადამიანები, ჩამოსახლებულან და თვითეული ახალი უბნისათვის თავიანთი ძველი კუთხის სახელი შეურქმევიათ.

— ამას „ქუთაისის უბანი“ ჰქვია, ამას კი „ჩხარის უბანს“ ეძახიან, — გვეუბნება ჭალადიდის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე არქიპო დემაანია და გვაცნობს ამ უბნის მოწინავე ადამიანებს. ეს დგას ჩვენს წინაშე შვიდ ათეულ წელს მიღწეული მოხუცი, ახალი ყორათის პირველი ბურჯი ვასილ რიეამაძე და დინჯად გვაყვება ყორათის უკაცრიელ-მიწაზე სიცოცხლის დაბადების ამბებს.

დასახლდნენ ჩხარისუბნელები ჭალადიდის მიწაზე, მაგრამ ცოტა სეკტიკურად კი შეპყურებდნენ მომავალს. — სიმინდი! — კარგია, მაგრამ რა გააძლებინებს ჩხარელ კაცს ულვინოდ? გაიხარებს კი ვაზი ამ ნაჭაობარზე? ბბის გაუგონია ჭალადიდური ღვინო? — ეს აზრი არ ასვენებდა ჩხარისუბნელებს, მაგრამ ამდენი მარნე არ დაუკარგავთ. და აი ვასილ რიეამაძეს ჩაყარა პირველი ვაზი ნაჭაობარ მიწაზე. ჩაყარა და ხედავს—შორს გასტყორცნა ნერგმა ტოტება ნელრწი. ვასილ რიეამაძემ პირველმა აგემა მეზობლებს ჭალადიდური დვინის ჭაშნიკი. მან პირველმა ჩაყარა ამ მიწაში ამერული ჭურები, გამოთალა საწნეხელი და პირველი ჭალადიდური ცოლიკაურით ადღერძეკა კოლეგთის ამოშრობის ინიციატორი — მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა.

ახლა აქ ყოველ ჩხარისუბნელის ეზოშია ცოლიკაური. სიმინდისა და ნარინჯის სიუხვეს ღვინის სიუხვეც მიმატებია და კულტურულად, შეძლებულად ცხოვრობენ კოლხეთის განახლებულ მიწაზე ეს ადამიანები.

განვაგრძობთ გზას. რიონის ძველი კალაპოტის გასაყართან, ხიდის ქვემოთ, ხარაჩოებში ჩამჯდარი მთელი ქალაქი მოჩანს. ჩვენს წინ იშლება დიდი ინდუსტრიული მშენებლობის პეიზაჟი.

რიონი ნახევარრკალად მოუხრიათ და ნარიონალზე გიგანტური ჰიდრონაგებობა აღუმართავთ. ეზოს ძველი ტერიტორია მოფენილია საშენი მასალებით. ჭიშკარში განუწყვეტლივ შემოდიან და გადიან საშენი მასალებით დატვირთული ავტომანქანები.

— აქ რიონის გადასაგები სათავე ნაგებობა და წყალმიმღები შენდება, — გვიხსნის გიორგი ჯაფარიძე. — ამ კაშხალზე აშენდება აგრეთვე დიდი სატრანსპორტო ხიდი, რომელიც ფოთს რესპუბლიკის სხვა რაიონებთან დაუკავშირებს. კაშხალის საშუალებით რიონის წყლის ერთი ნაწილი ფოთში გაივლის და გაწმენდავს მის ძველ, დაჭაობებულ კალაპოტს. ზედმეტი წყალი კი ნაბადასაკენ წავა. ამჟამად ეს ყველაზე დიდი მშენებლობაა კოლხიდმშენის სისტემაში. კაშხლის მშენებლობა, რომელიც ორმოცი მილიონი მანეთი დაჯდება, მომავალ წელს დამთავრდება.

აქედან უკვე იწყება კოლხეთის გული — ქალაქ ფოთის გარეუბნები. გარკვეული მოსჩანან ნავსადგურის ელექტროამწეთა ცამდე აზიდული კენწეროები და გემების ანძებზე აღმართული ნაირფერი ალმები.

აი ნაბადაც. მაგრამ სადღაა ძველი ნაბადა თავისი ქოხმახებით, გაუვალი ბილიკებით? ცოცება, შიმშილი და სიბნელე იყო წინათ აქაურ მცხოვრებთა ხვედრი. ჭაობში ახრჩობოდა ყოველივე.

წყალში ხნავდნენ, წყალში თესდნენ,
წყალს მიჰქონდა მათი რთველი.
სანამ ოდას ბახურავდნენ, დალპებოდა
საძირკველი.

ეს სიმღერა ზედგამჭრილი იყო ძველი ნაბადასათვის, იყო და აღარ არის. ახლა ნაბადა ფოთის ერთ-ერთი კეთილმოწყობილი ინდუსტრიული გარეუბანია. აგერ დიდი კორპუსები რომ მოსჩანან, მიწისქვეშა მანქანათა მშენებელი ქარხანაა, შემქმნელი იმ მანქანებისა, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს კოლხეთის ჭაობების ამოშრობაში.

ფოთის დღევანდელ გარეუბნებს შორის ყველაზე კეთილმოწყობილი და მიმზიდველია საბავშვო კურორტი მალთაყვა, რომელიც ქალაქიდან 7 კილომეტრზე შავ ზღვას, მდინარე კაპარჭინასა და პალიასტომის ტბას შუა მომწყვდეულ ნახევარკუნძულზე მდებარეობს.

მალთაყვის ჩრდილოეთით მწვანედ მობიბინე ტევრი მოჩანს. შორიდან უსიერი ტყე გეგონებათ. ახლოს რომ მიხვალთ, თქვენს წინ გრეიფრუტის, ლიმონის, მანდარინისა და ფორთოხლის ბაღები გადაიშლება. ეს ფოთის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობაა. მეტსახელად მას კოლხეთის ფლორიდას უწოდებენ.

— აი იმ სახლს ხომ ხედავთ, — გვეუბნება მეურნეობის დირექტორი ალექსანდრე ჯაფარიძე და ხელს დასავეთისაკენ იშვერს, — იქ, ფიცრულში, ცხოვრობდა ერთი კაფანდარა მოხუცი, ძველ კოლხეთში განთქმული მეწურბლე. როგორც კი ინათებდა, ეს მოხუცი შარვლის ტოტებს აიკაკაცდა და ჭაობში შეტოპავდა. როცა შიშველ წვივებზე წურბლები მეესეოდნენ, ბერიკაცი ამოვიდოდა ჭაობიდან, ფეხებზე მისეული წურბლებს კოთანში ჩაყრიდა და დასისხლიანებული ფეხებით ბაზრისაკენ გარბოდა. — ასეთი იყო ეს ადგილები ამ სამი ათეული წლის წინათ.

გარეუბნის ყველა გზას ფოთისაკენ მივყავართ, ძველი ბერძენი მოგზაურების მიერ მრავალგზის შექებული კოლხიდის დედაქალაქისაკენ. მართლაც, ფოთი მთელი კოლხეთის გული და მშვენებაა. იგი უდიდესი მნიშვნელობის სანავსადგურო ქალაქია. ვინც აქ ყოფილა, არ შეიძლება არ დაინტერესებულიყო ფოთის ორიგინალური დაგეგმარებით. მთელი ქალაქი ამომავალი მზის მსგავსად რადიალურად არის გაშენებული. ყველა ცენტრალური ქუჩა თავს იყრის ამ მზის გულში, — სტალინის სახელობის ზოვდანთან, სადაც ფოთის სახელმწიფო თეატრის შენობაა.

კოლხიდმცოდნეობის ვეტერანი ბესარიონ გოგოლიშვილი გვიჩვენებს ქალაქის დაარსების დოკუმენტს. 1858 წლის 18 ნოემბერს იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ ფოთი ქალაქად გამოაცხადა.

ქალაქად კი გამოაცხადეს, მაგრამ მისი მშენებლობისათვის მეფის მთავრობას არ უზრუნია. ერთადერთი ადამიანი ზრუნავდა იმ დროს ფოთის მომავლისათვის, ოცნებობდა განახლებულ კოლხიდაზე, მის ბედნიერებაზე. ეს ადამიანი ნიკო ნიკოლაძე იყო. მუზეუმში დაცულია დოკუმენტები, რომლებითაც ნიკოლაძე უმორჩილესად სთხოვდა დახმარებას „მის უდიდებულესობას“ კოლხიდის ჭაობების ამოშრობაში.

— „ფოთს რომ რაიმე შემოსავლის წყარო ჰქონდეს, კოლხიდის ჭაობებს ლომბარდიის მსგავსად აყვავებენ ბალებად ვაქცევდით და თქვენ არ შეგაწუხებდით“... — ასე მოკრძალებით სწერდა ნიკოლაძე „მის უდიდებულესობას“, მაგრამ ამ თხოვნებზე მას პასუხიც არ აღირსეს.

1863 წელს ფოთში დაიწყო ნავსადგურის აგება, რაც ათეული წლების განმავლობაში ჭიანურდებოდა. 1872 წელს დამთავრდა ფოთი-თბილისის რკინიგზის მშენებლობა და ამით ამოიწურა ქალაქის ზრდა-განვითარება ცარიზმის დროს, ხოლო მენშევიკების მოღვაწეობა ფოთში აღინიშნა ხანძრით, რომელიც მათ ნავსადგურში მყოფ გემებს და დაწესებულებებს გაუჩინეს საქართველოდან გაქცევის უკანასკნელ წუთებში.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში შეესახა ხორცი ქართველი ხალხის საუკეთესო შვილთა ოცნებას. გიგანტური ნაბიჯებით წავიდა ფოთი განახლებისა და წინსვლის გზით. გაიზარდა ქალაქის მრეწველობა, ტრანსპორტი და საქალაქო მეურნეობა. მწყობრში ჩადგნენ მძლავრი საწარმოები — წისქვილკომბინატი, გემმშენებელი, ტორფის, თევზის, ლიმონათისა და ლუდის ქარხნები, ხორცისა და პურის კომბინატები, ტრიკოტაჟის და საკონდიტრო ფაბრიკები.

ქალაქის შუაგულში, რიონის პირას დგას კოლხეთის გმირული წარსულის მოწმე ისტორიული კოშკი. ამ კოშკში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ფოთის დიდი განმანათლებელი ნიკო ნიკოლაძე. აქ დღესაც ინახება ზოგიერთი მისი პირადი ნივთი. ამ კოშკიდან იშლება წარმტ

მოსკოვში, VI მსოფლიო ფესტივალზე

ვრცელია ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალის პროგრამა. ყოველდღე დასახულია 350-400 სხვადასხვა ღონისძიება. ყველას ვერ ნახავს, ყველას ვერ აწერს ადამიანი. ფესტივალის პროგრამაში შედის დელეგაციათა შეხვედრები მოსკოველებთან, ექსკურსიები მოსკოვში, ქარხნებში, სასწავლებლებში, მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობებში. დაკავებულია თეატრები და კინოთეატრები, დახურული და ღია ესტრადები. ფესტივალი ღამეც კი გრძელდება.

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VI მსოფლიო ფესტივალი მოსკოვში. სურათებზე: 1. საქართველოს ახალგაზრდობა მსოფლიოს ერთად. 2. საქართველოს დელეგატები ფინელ ახალგაზრდობასთან. 3. საქართველოს დელეგატები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან ერთად. ფოტო გ. ვახტანგაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

სტუმრად მოსკოველებთან

29 ივლისს მოსკოვის ახალგაზრდა მშენებლებთან და პოლიგრაფისტებთან, სამრეწველო ბანკის მოსამსახურეებთან მივიდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგატები. ეს საღამო გვიანობამდე გაგრძელდა. რუსები და პოლონელები ცეკვავდნენ ვალსსა და პოლკას, ფოქსტროტებსა და ტანგოს, მღეროდნენ სხვადასხვა სიმღერას. აქ დიდი მხიარულება ჰქონდა ბედნიერ ახალგაზრდობას.

ამავე დღეს ინსტიტუტ „მოსპროექტის“ არქიტექტორებმა, კონსტრუქტორებმა და ინჟინრებმა სტუმრად მიიწვიეს ფესტივალზე ჩამოსული ამერიკელი ქალიშვილები და ჭაბუკები.

ინსტიტუტში რომ შევიდნენ, სტუმრები კეთილმოსურნეობის, მეგობრული ინტერესის ატმოსფეროში აღმოჩნდნენ. მოსკოველებმა თავიანთ ამერიკელ სტუმრებს აჩუქეს ყვავილების თაიგულები, მიართვეს საჩუქარი — პალესური კოლოფი. ეს იყო პირველი შეხვედრა, პირველი საღამო, რომელზეც საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ქალიშვილებსა და ჭაბუკებს შეეძლოთ დაწვრილებით ეამბნათ ერთმანეთისათვის თავიანთი ცხოვრება, გაეზიარებინათ თავიანთი ოცნებები და გეგმები. სტუმარ-მასპინძლები, რუსები და ამერიკელები ხელიხელჩაკიდებულნი ერთად თავთავიანთ ენაზე მღეროდნენ რუსულ სიმღერას „კატიუშას“, რომელიც ამერიკულმა მელოდიებმა შეცვალა. შუაღამემდე გაგრძელდა ეს მხიარული მეგობრული შეხვედრა. ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ კლუბსა და ბაღში გაიმართა მოსკოვის ლენინის რაიონის ახალგაზრდობის გულითადი შეხვედრა ჰოლანდიის, სუდანისა და კვიპროსის ქალიშვილებთან და ჭაბუკებთან. საღამო დამთავრდა კონცერტით, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდა ჰოლანდიელებმა, სუდანის დელეგატებმა, ლენინის რაიონის ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა.

სადღესასწაულოდ იყო მორთული 29 ივლისს მოსკოვის ოლქის ლენინის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკი“. სახლებისა და შენობების ფასადებზეა ფერადფერადი პლაკატები, ფესტივალის ემბლემები, მისალმებანი. გამოირჩევა წარწერები: „მშვიდობა მსოფლიოს!“, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო სტუმრებო!“.

კოლმეურნეები შეხვდნენ ინდოეთის ქალიშვილებსა და ჭაბუკებს. შუადღე იყო, როცა კოლმეურნეობას ავტობუსი მოადგა. იქიდან გამოვიდნენ მზემოკიდებული ადამიანები. კოლმეურნე ახალგაზრდობამ ყვავილების თაიგულები მიართვა მათ. საუბრის შემდეგ სტუმრები მეურნეობის დასათვალიერებლად მიიწვიეს.

მგრძნობიარე იყო მათი გამოთხოვება. ისინი მაგრად ართმევდნენ ერთმანეთს ხელს, აძლევდნენ სახსოვრებს. კოლმეურნე ახალგაზრდობამ საჩუქრები უძღვნა სტუმრებს. ფესტივალის დელეგატები. სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ეწვივნენ აგრეთვე ლენინის სახელობის, გორკის სახელობის კოლმეურნეობებსა და ლენინის სახელობის საბჭოთა მეურნეობას.

თეატრებში, ესტრადებსა და მოედნებზე

29 ივლისს საბჭოთა არმიის თეატრში გაიმართა საბჭოთა დელეგაციის საზეიმო კონცერტი. კონცერტის მაყურებელნი თეატრის მისასვლელზევე გახდნენ მოკავშირე რესპუბლიკების მოცეკვავეთა კოლექტივების იმპროვიზებულ გამოსვლათა მოწმენი. აი გაისმის ყაზახური დაირის ხმა. ნარნარად სრიალებენ შავგრემანი ყაზახი ქალები. აქ ფერხული ჩაუბამთ ლატვიელებს... მოცეკვავეებს ფერადფერადი ტანისამოსი აცვიათ. უსაზღვრო მხიარულებამ მოიცვა მთელი მოედანი.

„სალამი მეგობრებს“ — ასე ჰქვია ა. ნოვიკოვის სიმღერას, რომლითაც იწყება კონცერტის პროგრამა. მღერიან კონცერტის მონაწილენი — საბჭოეთის 15 რესპუბლიკის ქალიშვილები და ჭაბუკები.

შემდეგ ერთმანეთს ენაცვლებიან მაყურებელთა წინაშე გამოდიან ცომბირის, უკრაინის, ესტონეთის, უზბეკეთის ახალგაზრდა შემსრულებლები. დარბაზმა მხურვალედ მიიღო კიევის კონსერვატორიის სტუდენტი, საბჭოთა ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ფესტივალის სამხატვრო კონკურსის ლაურეატი ა. კიკოტი, სსრ კავშირის დიდი თეატრის ბალეტის სოლისტი ნ. ტიმოფეევა. სტუმრებისა და მასპინძლების უნებლიე ღიმილი გამოიწვია საცეკვაო სიუიტამ „საიჰატამ“ („დასვენებაზე“), რომელიც უჩვენა ყაზახეთის სსრ სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა.

კონცერტის პროგრამამ შეაერთა მთელი ჩვენი ქვეყნის ხალხთა ტალანტები. ძნელია იმის თქმა, თუ რა არის ყველაზე კარგი კონცერტის პროგრამაში, ამბობს ჩინეთის ახალგაზრდათა ანსამბლის ხელმძღვანელი ჯოუ ვე-ში. ყველა ნომერი ლამაზი, საინტერესოა და თვითეულ მათგანს განსაკუთრებული რამ ახასიათებს. ადამიანი ბევრ სხვა აღფრთოვანებულ რამესაც გაიგონებდა ამ შესანიშნავი კონცერტის შესახებ.

ბევრი მრავალფეროვანი არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოელოთ ფესტივალის თეატრალური ხელოვნების მოყვარულთ. მოსკოვში ჩამოვიდნენ საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის, ჩეხოსლოვაკიის, ურუგვაის, არგენტინის და ბევრი სხვა ქვეყნის პროფესიონალი მსახიობები და თვითმოქმედი კოლექტივები.

ფესტივალზე პირველი გამოვიდა რუმინეთის თოჯინების თეატრი „ცენდერიკე“. ამ თეატრის სპექტაკლებში ჩვეულებრივი, ნაცნობი თოჯინები კი არ თამაშობენ, არამედ მარიონეტები, რომლებსაც ხელმძღვანელი მსახიობები ზევიდან ათამაშებენ წვრილი ძაფით. მეორე თავისებურება ის არის, რომ მოქმედ პირთა სათქმელი, მუსიკა და ხმაური წინასწარ ჩაწერილია მაგნიტოფონით.

სატირული პროგრამით დაიწყო გამოსვლები სტუდენტთა თეატრმა „ბიმ-ბომმა“ (პოლონეთი). ეს კოლექტივი უკვე მესამეჯერ გამოდის საერთაშორისო ფესტივალზე, თუმცა სულ ამ ოთხი წლის წინათ შეიქმნა. მის შემადგენლობაში არიან ქალაქ გდანსკის უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეები.

29 ივლისს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მწვანე თეატრში გაიმართა ინდოელი ახალგაზრდობის კონცერტი. გაერთიანებულმა გუნდმა შეასრულა კომპოზიტორ რავიშანკარის სიმღერა „ყველას სჯობს საყვარელი ინდოეთი“. შემდეგ გამოვიდნენ მომღერლები, მოცეკვავეები, მუსიკოსები. მაყურებელთა წინაშე ნაირფერებად გაბრწყინდა დიდი ქვეყნის თავისებური ხელოვნება. ტემპერამენტიან ხალხურ ცეკვას ასრულებენ წითელი ჩალმით თავწაკრული ჭაბუკები, ხელში თან მწვანე ტოტები აქვთ. წკრიალებენ ქალიშვილების ყელსაბამები. თავის ოსტატობას უჩვენებს მაყურებელს ბომბეელ მოყვარულთა ჯგუფი „გურჯარ გარბა მანდალი“. ცნობილი ინდოელი მოცეკვავე ქალი პადმინი არაჩვეულებრივი გრაციითა და პლასტიკურობით ასრულებს კლასიკურ ცეკვას „მსოფლიოს სიზმარი“... გუნდი მღერის სიმღერას „რუსები და ინდოელები ძმები არიან“. დარბაზში ოვაცია იწყება. დამსწრენი იმეორებენ სიტყვებს „ჰინდი რუსი ბჰაი-ბჰაი!“ — „ინდოელები და რუსები ძმები არიან!“.

შინაარსიანი პროგრამით გამოვიდნენ უნგრეთის მუსიკოსები, მომღერლები, ილუზიონისტები. ისმის მუსიკის მომჯადოებელი ხმები. მისი აკომპანემენტით ხიჟიერი სოლისტი ანდრაშ ვარგა ასრულებს „წეროებს“. ვინ არის ისეთი საბჭოთა ადამიანი, რომ ამ სიმღერის მოტივს არ იცნობდეს? ხალისიან სიმღერებს ცვლის ხალისიანი მუსიკა. საესტრადო ორკესტრმა წარმატებით შეასრულა ცეკვა „ჩარდაში“, სიმღერა ოპერა „ბანკ ბანდან“ და სხვები.

კონცერტის შემდეგ ანდრაშ ვარგამ გაუზიარა დამსწრეთ მოსკოვის ფესტივალზე პირველი შეხვედრებით მიღებული შთაბეჭდილებანი.

* * *

ფესტივალის მესამე დღეც აღსავსე იყო სხვადასხვა ღონისძიებებით. ამ დღის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა ის იყო, რომ გორკის სახელობის კულტურისა და დასვენების ცენტრალურ პარკში გაიხსნა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საერთაშორისო გამოფენა. „დინამოს“ სტადიონზე დაიწყო ფესტივალის სასპორტო შეჯიბრება. კინოთეატრ „უდარნიკში“ გაიხსნა საერთაშორისო კინოფესტივალი, რომლის დროსაც მოსკოვის ეკრანებზე უჩვენებენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილ ფილმებს.

ამავე დღეს დაიწყო შეხვედრები პროფესიათა მიხედვით, გაიმართა მრავალი ეროვნული კონცერტი, გრძელდებოდა საერთაშორისო სამხატვრო კონკურსები. (საკდესი).

ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის შექმნის 30 წლისთავი

გაზეთ „ძეფანძიუნბაოს“ მოწინავე სტატია

პეკინი, 30 ივლისი. (საკდესი). დღეს სამხედრო გაზეთი „ძეფანძიუნბაო“ მოწინავე სტატიაში, რომელიც მიძღვნილია ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის შექმნის 30 წლისთავისადმი, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩინეთის შეიარაღებული ძალების გამარჯვებათა გადამწყვეტი პირობაა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა.

რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, წერს გაზეთი, პარტია მუდამ გვხელმძღვანელობდა სამშობლოს დაცვის, სოციალისტური მშენებლობის დაცვის, იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის, ტაივანის განთავისუფლებისათვის აქტიური მომზადების ამოცანების გადაჭრაში. ეს ამოცანები რომ უფრო წარმატებით გადაგვეწყვიტა, ჩვენი არმია ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თავმჯდომარის მაო ძე-დუნის მითითებით, საბჭოთა კავშირში სამხედრო მშენებლობის გამოცდილების საფუძველზე მოდერნიზებულ იქნა და რეგულარული გახდა. რამდენიმე წელიწადში შესამჩნევად ამაღლდა ჯარისკაცთა და ოფიცერთა საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების დონე, ამაღლდა მათი კულტურა, ბევრად განმტკიცდა ჯარების ორგანიზებულობა და დისციპლინა.

ახლა, ხაზგასმით აღნიშნავს „ძეფანძიუნბაო“, ჩვენ გვყავს არა მარტო ძლიერი სახმელეთო არმია, არამედ აგრეთვე მძლავრი სამხედრო-საჰაერო და სამხედრო-საზღვაო ძალები.

შემდგომ მოდერნიზაციასთან ერთად ჩვენ გვესაჭიროება კვლავაც — ამას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს — სოციალიზმისადმი ერთგულების სულისკვეთებით აღვზარდოთ ჯარისკაცები და ოფიცრები, აღმოვფხვრათ ყოველივე, რაც არ არის პროლეტარული, განსაკუთრებით აღმოვფხვრათ ბურჟუაზიული შეხედულებანი. თუ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში ძირეული ცვლილებანი მოხდა, ადამიანთა შეხედულებანი ჯერ კიდევ არ შეცვლილა. სწორედ მემარჯვენეთა წინააღმდეგ ბრძოლაა დიდი სოციალისტური რევოლუცია პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ფრონტზე, სწორედ ეს არის მწვავე კლასობრივი ბრძოლა.

სოციალისტური აღზრდის დონის ასამაღლებლად საჭიროა კიდევ უფრო კარგად დავაყენოთ მარქსიზმ-ლენინიზმის შესწავლა კადრების შემადგენლობაში. მარქსიზმ-ლენინიზმს უნდა ვსწავლობდეთ ჩინეთის რევოლუციის და ჩინეთში მშენებლობის პირობებთან შეფარდებით. გულმოდგინედ უნდა ვსწავლობდეთ პარტიის პოლიტიკურ მითითებებს და გადაწყვეტილებებს, აგრეთვე თავმჯდომარე მაო ძე-დუნის ნაწარმოებებს. ჩვენ იმის წინაღმდეგი ვართ, რომ თეორიულ ნაწარმოებებად მიჩნეულ იქნას მხოლოდ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებები, იმის წინაღმდეგი ვართ, რომ პარტიის პოლიტიკური მითითებანი და გადაწყვეტილებანი აგრეთვე თავმჯდომარე მაო ძე-დუნის ნაწარმოებნი მხოლოდ „მიმდინარე პოლიტიკურ მითითებად“ მიგვაჩნდეს.

ჩვენი არმიის 30 წლის გამოცდილება, განაგრძობს გაზეთი, ამტკიცებს, რომ პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობა ჩვენი ჯარების გამარჯვების გადამწყვეტი ფაქტორია. ჩვენს არმიას კვლავაც ექნება გადასაწყვეტი რთული ამოცანები. ამიტომ უნდა განვამტკიცოთ ხელმძღვანელობა პარტიის მხრივ, ვაუმჯობესოთ ჯარისკაცთა და ოფიცერთა აღზრდა სოციალიზმისადმი ერთგულების სულისკვეთებით, რათა განვამტკიცოთ არმია პოლიტიკურად და იდეოლოგიურად, განვამტკიცოთ კავშირი არმიას, ხალხსა და მთავრობას შორის, უკეთ ავითვისოთ სამხედრო მეცნიერება და ტექნიკა, რათა კიდევ უფრო ძლიერი გავხდეთ, რათა კიდევ უფრო დიდი რწმენით გადავწყვიტოთ საპატიო ისტორიული ამოცანები, რომლებიც პარტიამ და სახელმწიფომ დაგვაკისრეს.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის მე-14 სესიის გადაწყვეტილებანი

24-დან 27 ივლისამდე მოსკოვში მიმდინარეობდა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის მე-14 სესია. სესიის მონაწილეებმა მიიღეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის მიმართვა მშრომელებისა და პროფკავშირებისადმი თავისი სასიცოცხლო მოთხოვნებისათვის მუშათა კლასის ბრძოლის შესახებ და IV მსოფლიო კონგრესის მომზადების შესახებ, აგრეთვე წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის წევრებისადმი და დეკლარაცია ალჟირის საკითხზე.

აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა, ნათქვამია მიმართვაში, რომ პროფკავშირთა IV მსოფლიო კონგრესი ღია იყოს ყველა პროფკავშირული ორგანიზაციისათვის, რომ იგი უწინარეს ყოვლისა იყოს კონგრესი, რომლის მიზანია ძმური დისკუსია ყველა ტენდენციის პროფკავშირთა წარმომადგენლებს შორის, განურჩევლად იმისა, თუ რომელ პროფკავშირს ეკუთვნიან ისინი.

მიმართვაში შემდეგ აღნიშნულია, რომ საგაფიცვო მოძრაობა ძლიერდება და ფართოვდება, კერძოდ, ინგლისში, დასავლეთ გერმანიაში, საფრანგეთში, იტალიაში, ბელგიაში, ინდოეთში, იაპონიაში, ჩილეში, არგენტინასა და სხვა ქვეყნებში. ყველა გამოსვლის დამახასიათებელი ნიშანია, ნათქვამია მიმართვაში, ახალი დიდი პროგრესი მოქმედების ერთიანობის დარგში. სამუშაო დროის შემცირებისათვის კამპანიას ახალი გაქანება მიეცა განსაკუთრებით იტალიაში, შეერთებულ შტატებსა და დიდ ბრიტანეთში.

კვლავ ძლიერდება ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მოძრაობა, — ნათქვამია მიმართვაში. მიმართვაში, კერძოდ, ხაზგასმით ალაა აღნიშნული, რომ ალჟირელი ხალხის ბრძოლას თავისი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ახლა მხარს უჭერენ მთელი მსოფლიოს მშრომელები და პროფკავშირები.

მიმართვაში აღნიშნულია, რომ იმ მეტად ღიდ საფრთხესთან დაკავშირებით, რასაც წარმოადგენს ატომური და წყალბადის პოძბების წარმოება და გამოცდა, ყველა ეროვნულმა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ უკვე განაცხადა, რომ ისინი მოითხოვენ აიკრძალოს ატომური და თერმოატომგულის იარაღი, დაუყოვნებლივ შეწყდეს ატომის გამოცდა, ატომის ენერგია გამოყენებულ იქნას სამშვიდობო მიზნებისათვის.

ეხება რა პროფკავშირთა IV მსოფლიო კონგრესის მოწვევას, რომელიც უნდა გაიმართოს 1957 წლის 31 ივლისიდან 14 ოქტომბრამდე ლაიფციგში, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელი სესია თავის მიმართვაში აღნიშნავს, რომ ამ კონგრესის მიზანია სერიოზულ ძმური ურთიერთობის განვითარება პროფკავშირულ ორგანიზაციებს შორის და ხელშეწყობა საერთაშორისო პროფკავშირული ერთიანობის პროგრესისათვის.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომი მოუწოდებს მშრომელებსა და პროფკავშირებს განაგრძონ და გააფართოონ მზადება კონგრესისათვის, განიხილონ სასიცოცხლო საკითხები, რომლებიც კონგრესის დღიურ სესიებზე დგას.

წერილში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის წევრებისადმი აღნიშნულია, რომ გადაუდებელია შეთანხმება ატომური და თერმოატომგულის იარაღის აკრძალვის შესახებ და მისი გამოცდის შეწყვეტა, რომელიც შესაძლებელი გახდის საერთო შეთანხმების განიარაღების შესახებ. გამოთქვამს რა მთელი მსოფლიო მშრომელთა ნებას, აღმასრულებელი კომიტეტი მტკიცედ მოითხოვს, რომ მალე და წარმატებით დამთავრონ დაწყებული მოლაპარაკება ისეთ სულისკვეთებით, რომელიც სურს კაცობრიობის დიდ უმეტესობას, იმ მიზნით, რომ საკითხი ოდ მოწესრიგდეს განიარაღების საკითხი უწინარეს ყოვლისა ატომური და თერმოატომგულის იარაღის აკრძალვის საკითხი.

დეკლარაციაში ალჟირის საკითხზე პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადასტურა თავისი სრული სოლიდარობა ალჟირელი მშრომელებისა და ხალხის ბრძოლისადმი თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. აღმასრულებელი კომიტეტი გამოთქვამს რწმენას, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი შეიძლება გამოინახოს მხოლოდ მოლაპარაკებში და იმაში, რომ აღიარონ, რომ ალჟირელ ხალხს აქვს სრული ვერენტეტისა და დამოუკიდებლობის უფლება.

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ აღმასრულებელი კომიტეტი მხარს უჭერს იმ ქვეყნებს, მოთხოვნას, რომლებსაც განზრახული აქვთ დაიცვან ალჟირის ეროვნული მისწრაფება ერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალ სესიაზე და გამოვიდნენ ალჟირელი ხალხისადმი „ძალის პოლიტიკის“ წინააღმდეგ, აგრეთვე ალჟირში კოლონიური ომის წინააღმდეგ.

ომანის ამბების გამო

კაირო, 30 ივლისი. (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა ომანში შექმნილ მდგომარეობას, გაზეთი „აშ-შაბი“ წერს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობენ ომანის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გამოიყენონ თავიანთი იმპერიალისტური ზრახვების განსახორციელებლად. ამერიკის შეერთებული შტატები, წერს გაზეთი, ისწრაფვიან თავიანთ გავლენას დაუქვემდებარონ სპარსეთის ყურის პროტექტორატები და ამ რაიონს თავს მოახვევინონ „ეზენჰაუერის დოქტრინა“.

გაზეთი აღნიშნავს, რომ ომანის ხალხი ეწევა ბრძოლას ინგლისის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, იცავს თავის ტერიტორიას, ეროვნულ დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს. ომანის ხალხმა, აღნიშნავს გაზეთი, იცის, რომ მხარს უჭერს რა მასატის სულთანს, ინგლისი ამით ინგლისის იმპერიალისტურ ინტერესებს იცავს ომანში. ამრიგად, განაგრძობს გაზეთი, ომანში ერთმანეთს ეჯახება ინგლისისა და ამერიკის ინტერესები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან თვით ომანის ხალხის ინტერესებს.

გაზეთი აცხადებს, რომ ომანის ხალხის განმათავისუფლებელ ბრძოლას სავსებით უჭერენ მხარს აღრიკისა და აზიის ქვეყნები, აგრეთვე ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი და რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა მრისხანედ გმობს ინგლისის იმპერიალიზმის აგრესიას.

ალჟირის ამბები

პარიზი, 30 ივლისი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, გუშინდელი დღის მანძილზე ორანისა და კონსტანტინის დეპარტამენტებში გაფფორებული ბრძოლები იყო. ქალაქ ბატნადან 15 კილომეტრზე რკინიგზის მატარებელი ნაღმს წაწყდა და დაიმსხვრა. მგზავრებში 12 კაცი დაშავდა და 1 მოკვდა.

ქალაქ ალჟირში გუშინ საღამოს პოლიცია და პარაშუტისტებმა ფართო „ოპერაცია“ მოაწყეს ადგილობრივი მოსახლეობის შესაჭრაბ-ბებლად. 2,5 ათას ალჟირელთაგან, რომელიც შემოწმების დროს დაიკავეს, 40 კაცი დაპატიმრებულია.

როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, ალჟირის სამხედრო ხელისუფლებმა დაპატიმრეს ალჟირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელები პოლ კაბალერო და ანდრე მუანი.

3 აგვისტოს დილის 10 საათზე მოწვეულია **გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტთა თათბირი.**

რედაქტორი გ. ფირცხალავა.

საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო აცნობებს ყველა სამრეწველო საწარმოს, მშენებლობათა და საავტომშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელს, რომ ივლისის თვიდან დაწყებული სატელეგრაფო და საფოსტო ანგარიშგება მრეწველობაზე და მშენებლობაზე წარდგენილი უნდა იქნას **ზუსტად დადგენილი ვადებისა და ფორმების მიხედვით** საქართველოს სსრ სტატისტიკურ სამმართველოში შემდეგი მისამართით:

საფოსტო ანგარიშისათვის — ქ. თბილისი, პუშკინის ქ. № 3, საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველო; სატელეგრაფო ანგარიშისათვის — თბილისი საქსტატი.

სატელეგრაფო ანგარიში გეგმის შესრულების შესახებ ივლისის თვეზე წარმოდგენილი უნდა იქნას:

მრეწველობაზე — **1 აგვისტოს**, მშენებლობაზე — **2 აგვისტოს.**

საფოსტო ანგარიში წარმოდგენილი უნდა იქნას აგრეთვე ანგარიშგებით გათვალისწინებულ დანარჩენ ორგანიზაციებშიაც.

სტატსამმართველო სთხოვს სამრეწველო საწარმოებების მშენებლობათა და საავტომშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელებს, არ დაუშვან დადგენილი **ვადების დარღვევა** და უზრუნველყონ ანგარიშგების ჯეროვანი ხარისხი.

ტელეგადაცემათა პროგრამა

1 აგვისტოსათვის

20.00 — კონცერტი პოლონეთის ფესტივალის მსახიობთა მონაწილეობით. 20.35 — გადაცემა, მიძღვნილი ჩინეთის სახალხო არმიის 30 წლისთავისადმი, 20.45 — მხატვრული ფილმი „სიმამაცე“.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს თანამშრომლები იუწყებიან

ძაძუ ფარნაოზის ასულ
ეფაქიძე-ჩიჩუას

გარდაცვალებას. გამოსვლენება 1-VIII, 6 ს. ლენინის ქ. № 63.

შვილები ნინო, მარო, გოგი, რძალი მაგული, სიძე ვ. ყენია ოჯახებით იუწყებიან

ნიკოლოზ გრიგოლის-ძე ვარდანაშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-VIII, 8 ს. გამოსვლენება 3-VIII 5 ს. ბინიდან, გოგებაშვილის პირველი გასავალი № 10.

დედა ნატო, მეუღლე ნინო, შვილები ალექსანდრა, ამირან, და მარო, ძმა იოსებ ოჯახებით იუწყებიან

სამხონ კირილეს-ძე ზანგურაშვილის

გარდაცვალებას პანაშვიდი 1, 2-VIII, 8 ს. გამოსვლენება 3-VIII, 4 ს. დეპოს ქ. № 28.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის მუშაკები იუწყებიან

ვლადიმერ დიმიტრის-ძე კუპაიძის

გარდაცვალებას.

შვილები ლიზა, ანა, იაკობ, რძალი დონა, სიძე გ. აბზიანიძე ოჯახით იუწყებიან

ოლღა დავითის ასულ
წულუკიძე-ნიკოლაძის

გარდაცვალებას პანაშვიდი 1, 2-VIII, 8 ს. გამოსვლენება 3-VIII, 5 ს. ბაჩალის ქ. № 18.

თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივი იუწყება

ნიკოლოზ მაქსიმეს-ძე ხასაიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-VIII, ქ. სოხუმში. გამოსვლენება ბინიდან, საბჭოს ქ. № 45.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან

თამარ პარმენის ასულ
ჩიტაიშვილი-თოდუას

გარდაცვალებას.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების, ქალაქის მასობრივი და საბავშვო ბიბლიოთეკების მუშაკები იუწყებიან

ანეტა დავითის ასულ გიორგაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-VIII, სოფელ წითელმთაში (მახარაძის რ.).

მშობლები ვერა, ალექსანდრე, და თამარ, ძმა როლანდ იუწყებიან

მელორი ალექსანდრეს-ძე სარჩიმელიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-VIII, 6 ს. ქ. ცხაკაიაში. გამოსვლენება ბინიდან, რუსთაველის მეორე შესახვევი № 5.

მეუღლე ვერა, შვილები ნოე, გივი, რძლები მერი, ლილი ოჯახებით იუწყებიან

პიპინია ნიკოლოზის-ძე ლორთქიფანიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 4-VIII, 6 ს. სოფელ სალხინოში (ვანის რ.).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი იუწყება აკადემიკოს

ალექსანდრე ანტონის-ძე თვალჭრელიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2, 3-VIII, 8 ს. გამოსვლენება 4-VIII, 3 ს. ბაზალეთის ქ. № 1.

მეუღლე თამარ, შვილები ლამარა, ბამია იუწყებიან

პარმენ ზოსიმეს-ძე კუკავას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1,2-VIII, 8 ს. გამოსვენება 3-VIII, 6 ს. კლარა ცეტკინის ქ. № 78.

მეუღლე ნინო, დედა ბაბილინე, შვილები ვალერიან, ანზორ, დები ნინო, ლუბა, სიძე ჯ. ჭინტარია იუწყებიან

ვიქტორ გიორგის-ძე ფილიას

გარდაცვალებას. პანაშვიდი 1, 2-VIII, 8 ს. გამოსვენება 3-VIII, 5 ს. კვალის ქ. № 5.

მეუღლე ევგენი, მამა ილია, დები თინა, ქეთო, ძმები შოთა, აკაკი, ჯენერი ოჯახებით იუწყებიან

მარიამ ილიას ასულ
გიორგაძე-ჯალალონიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-VIII, 6 ს. ქ. სოხუმში. გამოსვლენება ბინიდან, კუბინაშვილის ქ. № 74.

რედაქციის. გამოცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-62-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრებისა და მარქსიტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების—3-80-81, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ჯგუფის—3 57-61, პრესის მიმოხილვისა და პარტიუროსი — 3-72-80, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვებისა—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

2

ᲣᲔ 02286

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.